საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2008 წელი.

№ 79 (5936)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„იღვაწე სიმართლისთვის და ღმერთი იბრძოლებს შენთვის!..“

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამოვდელონო მოვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, მერ-მონოზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნო და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქუეყანა (დაბ.9,1) „მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა და ვუგალობდეთ აღდგომასა მისსა“ (აღდგომის საგალობელი) ქრისტე აღდგა! შეიმუსრა ჯოჯოხეთი და განქარდა სიკვდილი! მაშ, შევიდეთ სახლსა მას სამეუფოსა, განვიცადოთ ზეიმი ზეიმთა და დღესასწაული დღესასწაულთა, - პასექი უფლისა! „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა“. ამიერიდან უცხონი აღარა ვართ, „არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი; მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი, რომლის ქვაკუთხედი არის თავად იესო ქრისტე“ (ეფ. 1, 19-20), ეკლესია კი სხეულია მისი. ამ ეკლესიის შესახებ უფალი ჩვენი მრძანებს, რომ მჭვნი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობას გულისხმობს; ამიტომაც ამბობს წმ. მაქსიმე აღმსარებელი, რომ მაცხოვარმა ეკლესია უწოდა „მართლაღსარებასა სახელისა მისისასა“. მის წინააღმდეგ მრძოლა კი ნიშნავს ამ სწავლების წინააღმდეგ მოქმედებას, მის შერყვნას ან შეცვლას, რასაც ეშმაკი სხვადასხვა ცრუ ფსევდოქრისტიანული მოძღვრებების გავრცელებით თავიდანვე ცდილობდა და ცდილობს დღესაც. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო განკაცებულ ღმერთთან დაკავშირებით მცდარი აზრის დანერგვა, რაც, უმთავრესად, ორი სახით გამოვლინდა: ერთის მიხედვით, მაცხოვარი მხოლოდ ადამიანი არის, მეორის მიხედვით კი - მხოლოდ ღმერთი.

იხ. 4-5 გვ.

პაატა ზაქარეიშვილი:

აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში კონფლიქტის შესაჩერებლად საერთაშორისო ბერკეტი არ არსებობს

9

თემურ მჭავია:

ქართველი ხალხი ქუჩაში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად უნდა გამოვიდეს

ეჰ, „ნატო“, „ნატო“... რაკ ვყოფილიო?

7-8

ბოლოს და ბოლოს, საიდან ამოდის მზე საქართველოში?

2

რატომ არ უყვარს ამ ხელისუფლებას მამულიშვილები?..

6

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისთვის საქართველოში მზე არც აღმოსავლეთიდან ამოდის და, მით უფრო, არც ჩრდილოეთიდან. საქართველოში მზე აღმოგრწყინდება დასავლეთიდან, უფრო ზუსტად – ატლანტიკის ოკეანიდან



◎ ფიქრები

ჯერ ელი ცხოვრებს და ჭრიან

ბოლოს და ბოლოს, საიდან ამოდის მზე საქართველოში?

პარლამენტის წინასაარჩევნო სამზადისი ნაკვერჩხლებზე გადადებული კეცივით გახურდა, რომელიც მზად არის ცომის დასაკრავად.

სამმა ბლოკმა (ისინი 15 პარტიას აერთიანებენ) და 9 მარტოხელა მგელმა აისხა საჭურველი და აშენებას ჰპირდება საქართველოს.

ყველაზე გამწედ და მარიფათიანად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ირჯება. მას აშკარად ეტყობა, რომ შიშის ზაფრა აქვს ატეხილი, ამიტომ უკვე ჩააბა ბრძოლაში თავისი სტრატეგიული რეზერვები.

თავდაპირველად ძალზე მართებულად ამოყარა (ესეც სტრატეგიაა! საარჩევნო სიიდან საყოველთაოდ მოყირჭებული, საყოველთაოდ საძულველი სახეები. ისე რომ, მადლობა ღმერთს, ხვალ-ზეგ პარლამენტში (ნაცმოძრაობა იქ თავის ხალხმრავალ დეპუტაციას რომ გაიყვანს, უეჭველია! ველარ ვიხილავთ ნადირაძეს, ბოკერიას, კირკიტაძეს და ა. შ.

სამაგიეროდ იგივე ნაცმოძრაობამ აშკარა შეცდომაც დაუშვა – ეიფორიაში მყოფმა ისეთი ხალხი ჩაყარა იმ გედუკულმართ სიაში, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებიან ამოყრილებს.

ეს ეიფორია კი, მოგეხსენებათ, სიაში ნინო ბურჯანაძის თანამოსაგრეთა სასწრაფო ჩანაცვლებამ შვა.

მახსოვს 2004 წლის გაზაფხულზე გამარჯვებული „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატების“ დეპუტაციის სამახსოვრო სურათის საზეიმო გადაღება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში. გედნიერი სახეები, მონოლითურად შეკრული გუნდი... მათში მძლავრ მუხასავით ამოწვერილი მიხეილი და არყის ხესავით ტანკენარი ნინო...

ეს იყო მუშტი, რომელმაც დაანოკაუტა შევარდნაძის რეჟიმი და რომელსაც ხვალ ერთ მთელად უნდა ექცია დანაწევრებული ქვეყანა, საყოველთაო გედნიერება უნდა დაემკვიდრებინა ამერ-იმერში... ასეთი იყო დაპირება, რომელიც ხარბად, სულსწრაფად აკენკა უკეთესობის მოლოდინით დაღლილმა ხალხმა.

იმ სამახსოვრო სურათის გადაღება ნაცმოძრაობის ლეგენდარული ერთობის საბალხოდ წარმოჩენის პირველი და უკანასკნელი დღე იყო. როგორც კი ფოტოაპარატების ჩხაკუნი მიწყდა, მონოლითის წევრებმა ტარაკნებივით დაიწყეს გადარბენ-გადმორბენა.

რას იქმენ ამჯერად, ძნელი სათქმელი, ოღონდ იოლად სავარაუდოა, თუმცა ბუბა კიკაბიძის ომახიანად ეგზოტიკურ-გახმოვანებული კლიპი ისეთივე სიუხვის რქას და ურყევ ურთიერთ მხარში დგომას გვპირდება, როგორც მაშინდელი, ოღონდ სხვის მიერ გახმოვანებული კლიპი გვპირდებოდა.

დაპირებები მართლაც ყოვლისმომცველია. ამასთან ყოვლისმომცველადვე გამოიყენება აკრძალული ილეთებიც. რამდენადაც მახსოვს, დაუშვებელია ელექტორატის მოსყიდვა. საერთოდ, საერთაშორისო წესითა და კანონით.

მაგრამ ჩვენთან წესს და რიგს ვინ დაგიდევს. ადრე (წინა არჩევნებისასაც ფქვილითა და ზეთით იგირეგდნენ ამომრჩეველს, ახლა გზების შეკეთებით, საწვავითა და სხვა სიკეთეებით (ხიგლავენ კანდიდატები, რომლებსაც ამ სიკეთეებზე ხელი მიუწვდებათქ. მაშ როგორ, ყველაფერი გამარჯვებისთვის!

ემზადება ოპოზიციაც.

სახელისუფლებო მონსტრთან 24 პარტიის ხელიხელჩაკიდებულად თუ ეულად შეგმა იოლი რომ არ იქნება, ეს ყველამ კარგად უწყის, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მან (ამ მონსტრმაქ შეიძლება არჩევნების შედეგები გააყალბოს, არამედ იმიტომაც, რომ მის (ამ მონსტრისქ მხარეს ხმალამოწვდილი იბრძოლებს სახელისუფლებო აპარატი და „მთელი სამეფო ამალა“: არმია, პოლიცია, პროკურატურა...

საპირწონედ ოპოზიციამ მოიმარჯვა ყველაზე ქმედითი იარაღი... ერთმანეთის ლანძღვა.

ლეიბორისტები ეროვნულ საბჭოს ულრენენ, რესპუბლიკელები (ლევან ბერძენიშვილის პირითქ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას „კრემლის სატელიტს“ უწოდებენ (სამაგიეროდ, მიზანში ამოლეგულებმა გატონი ლევანი „შეძანებულად“ მონათლესქ და ასე შემდეგ.

ეს მრავალნაცადი და უნივერსალურად გამოსაყენებელი პოლიტიკური იარაღი ახლახან ამოქმედდა და თანდათან უფრო და უფრო ამძუხარდება, რათა არჩევნების დღისთვის ეს პარტიები საბოლოოდ გამოწურუ-ლიყვნენ, ერთმანეთს დაღერეგულები და შარვალგამოხეულები მიჩანჩალდებიან.

არადა, გონივრულობის შემთხვევაში, რა მშვენივრად შეიძლებოდა გამარჯვების (სრულყოფილ გამარჯვებას ვგულისხმობქ ორგანიზება. აფსუს, რა შესაძლებლობაა ხელიდან გაშვებული!

რაც მთავარია, საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისთვის საქართველოში მზე არც აღმოსავლეთიდან ამოდის და, მით უფრო, არც ჩრდილოეთიდან. საქართველოში მზე აღმოგრწყინდება დასავლეთიდან, უფრო ზუსტად – ატლანტიკის ოკეანიდან.

ეს უახლესი ასტრონომიული აღმოჩენები (ჯერ ჩრდილოეთი, ახლა დასავლეთიქ, მაფიქრებინებს, რომ რაკილა ამქვეყნად მყარი და მუდმივი არაფერია, შეიძლება დადგეს დრო, როცა მნათობი სამხრეთიდან ამოვა – თურქეთი ხომ ერთობ დაჩქარებული ტემპებით მიდის წინ, ვინ იცის, თუ რიგრიგობით შეიძლება მზე ქვეყნიერების ოთხივ კუთხიდან ამოვიდეს, რატომ არ შეიძლება ერთდროულად ამოანათოს ყოველი მხრიდან, მათ შორის ჩრდილოეთიდან? ოღონდ ამაზე დაფიქრება მართებთ არა ასტრონომებს, არამედ პოლიტიკოსებს, რომლებიც ისე ჭრიან და კერავენ, როგორც აძლევთ ხელს მოცემულ დროში.

ერთიც:

ნაცმოძრაობის მამა-მარჩენალმა გატონმა მიხეილ სააკაშვილმა ხალხის თვალს გარიდებულ თავის „ჩამოლაბორანტებულ“ რეინჯერებს სასწრაფოდ ჩამოურიგა სახელოები და სულ კაკალ-კაკალ ჩანერგა სახელმწიფო სამსახურში. ამით ორი საქმე გააკეთა: ნამსახურ ხალხს ამაგი არ დაუვიწყა (ამით, ბუნებრივია, კვლავაც რეჟიმის მონა-მორჩილად ჰყოქ და პარლამენტში მათს ადგილებზე შეგულებულნიც წყალობის იმედით აღივსო.

ერთი კიბ: ამ გადასმა-გადმოსმით ქართულ დიპლომატიაში პირდაპირ ანეკდოტური ვითარდება, იზრდება პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სულ უფრო და უფრო იძენს ჩვენი მოსახლეობის სიმპათიას. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს მისი ყოვლისმომცველი და დაგეგზითებით მზარდი ექსპორტი (მართალია, ჯერჯერობით, უმეტესწილად უხარისხო და ერთჯერადი მოხმარებისაქ და ჩვენი ასევე აღმავალი იმპორტი – მეძავები, ჩანთებით გატანილი სამეზობლოში მოპარული თუ საკუთარი მამა-პაპის საფლავებიდან აყრილი ფერადი ლითონი და ა.შ.

◎ წკეპლიკა

ჩემი წინასაარჩევნო გაფრთხილება

ყველა ხალხს აქვს კარგი ანდაზები, ღრმა სიბრძნის მატარებელი. რასაკვირველია, ქართული ანდაზებიც შესანიშნავია და ერთ-ერთი, ყველას ჯვარი ეწეროს და გახლავთ კაცი რომ კვდება, თავის თავს უკვდებაო...

წინ საპარლამენტო არჩევნებია, შესაბამისი კამპანია საკმაოდ გახურებულია, მიდის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები, გაისმის მსუყე-მსუყე, მამალ-მამალი დაპირებები, ეკრანზე ტრიალებს საპიარო რგოლები (რა დასამალია და, არცთუ იშვიათად უნიჭო და მომაბეზრებელიქ.

კი ბატონო, შევხვდეთ დეპუტატობის კანდიდატებს, დავუკრათ ტაში, მივართვათ ყვავილები, მივილოთ საჩუქრები, ვთქვათ ჩვენი და მოვისმინოთ იმათი. ოღონდ კარგად გვახსოვდეს: კაცი (გინდა ქალიქ პარლამენტარი რომ ხდება, თავის თავს „უხდება“, თავისთვის ხდება, შენ რამდენიც არ უნდა უძახო „ხალხის რჩეული“! ასეა ეს და ვთქვი აქ მე!..

თამაზ ილმელი

◎ ინფორმაცია

უნდა შეიქმნას ინტერმაჟორიტარული შტაბი

„მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველების“ ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ვახუშტი ფარცვანია ოპოზიციურ საარჩევნო სუბიექტებს ინტერმაჟორიტარული შტაბის შექმნას სთავაზობს. ფარცვანიას განცხადებით, შტაბმა ოპოზიციონერ კანდიდატებს შორის უნდა გამოავლინოს კონკურენტუნარიანი სუბიექტი, რომელიც სახელისუფლებო კანდიდატს დაუპირისპირდება.

ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში წარდგენილი ყველა ოპოზიციური პარტიების პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატებსა და მათ პარტიულ ლიდერებს მინდა მოვუწოდო – იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გვამოძრავებს ერთი ეროვნული მიზანი, გადასაწყვეტი გვაქვს ერთი საქვეყნო ამოცანა, – აუცილებელია დროულად შეიქმნას ინტერმაჟორიტარული შტაბი, რომელიც გამოავლენს რეალურ, კონკურენტუნარიან კანდიდატს ხელისუფლების მაჟორიტარ კანდიდატთან მიმართებაში, რათა უპრეცედენტო დამარცხება ვაგემოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის და მისი ღირსების გამყიდველ მთავრობას.

ჯი-ეიბ-ენი

● სოკოებივით მრავლდება და მრავლდება დაპირებებიც. რომ აღარაფერი ვთქვათ, იაფფასიან პიარზე – გავშვებზე გულანთებულ მზრუნველ დეპუტატებზე, უფასოდ რომ დაჰყავთ ისინი კინოთეატრებში, ანდა, რა შემართებით რგავენ ხეებს საჯარო სკოლებში, ტერიტორიებს ასუფთავებენ...

◎ ხედვა

ნინო ბურჯანაძის პროტესტი

იმის შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ უარი განაცხადა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიამ დაკარგა პირველი ნომერი, ხოლო თავად პარტიამ – ერთ-ერთი ლიდერი.

ნინო ბურჯანაძე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისგან ყოველთვის განსხვავდებოდა. მისმა განსხვავებულობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ შეიძინა. თუ პარტიის სხვა ლიდერები ერთმანეთს ჰგავდნენ ურთიერთობის შემტევი სტილით, ცინიზმით და რადიკალიზმით, ნინო ბურჯანაძე მათგან ზომიერებით, წონასწორობისკენ მიდრეკილებით და დიალოგის უნარით გამოირჩეოდა. განსხვავებული იყო მისი დამოკიდებულებაც ეგრეთ წოდებული „კადრების“ მიმართ. პარლამენტის ის წევრები, რომელთა საჯარო გამოსვლები მეტი პროფესიონალიზმით და ნაკლები აგრესიით გამოირჩეოდნენ, ძირითადად, სწორედ ნინო ბურჯანაძის მიერ იყვნენ მიწვეულნი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ამიტომაც, მისი გუნდის ზოგიერთი პროტენციური წევრის მიმართ არაერთხელ გამოუვლენიათ მტრული დამოკიდებულება „ჭეშმარიტ „ნაციონალებს“.

წინა საპარლამენტო არჩევნებშიც, 2004 წლის გაზაფხულზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიაში ნინო ბურჯანაძის „კვოტის“ გადანაწილებამ დიდი წყენისა და მწვავე საჯარო განცხადებების ფონზე ჩაიარა. ჯერ კიდევ მაშინ აშკარა იყო, რომ რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი ისეთი ხალხის შეყვანას გეგმავდა პარლამენტში, სააკაშვილის უშუალო გარემოცვას თვალში რომ არ მოსდიოდა. მაშინ ნინო ბურჯანაძემ გაბრძოლება სცადა, მაგრამ ვერაფერი მიიღო პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის გარდა.

ეს ფრაზა შეიძლება ცინიკურად ჟღერდეს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ზედაპირულად შეეხედავთ. სინამდვილეში, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ან რიმე სხვა თანამდებობაზე ყოფნა გარეგანი და დროებითი უპირატესობაა, პრინციპებისადმი და ღირებულებებისადმი ერთგულება კი ადამიანის შინაგანი და სამუდამო თვისებაა. ნაციონალური მოძრაობის ერთი მთავარი თავისებურება სწორედ ისაა, რომ პრინციპულ, ჰუმანურ და თავისუფალ ადამიანებს ძნელად ეგუება. ამიტომ, ნინო ბურჯანაძის მხრიდან 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის სხვა ლიდერების მიმართ პრინციპულ საკითხში დათმობამ გამოიწვია მისი გადაყვანა მუდმივი დათმობის რეჟიმში. ეს რეჟიმი არ გამორიცხავდა ნინო ბურჯანაძისთვის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის გადაცემას, მაგრამ გამორიცხავდა პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან მისთვის კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებას და, ესე იგი საკუთარი ღირსების სრულად დაცვას.

დღეს ბევრისთვის გაუგებარია, ორიოდე დღის წინათ რატომ დათმო ნინო ბურჯანაძემ საკუთარი ადგილი პარტიაში და, შესაძლოა, საერთოდ, პოლიტიკაშიც. ერთი შეხედვით, საქმე ეხება ბურჯანაძის მიერ ნაციონალების საპარლამენტო სიაში მოწვეულ რამდენიმე ადამიანს, რომელთა გვარებმაც მიხეილ სააკაშვილი თუ მისი ახლო გარემოცვა გააღიზიანა. მაგრამ, ალბათ, შეცდება ის, ვინც პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას მაინცდამაინც ამ შემთხვევას დაუკავშირებს. პროგლემა სწორედ მაშინ გაჩნდა, როდესაც ნინო ბურჯანაძემ 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პარტიულ მეგობრებს დაუთმო და საკუთარი თანამოაზრეების სია მათ თავისი პოლიტიკური გემოვნების მიხედვით დააჩეხინა. ამის შემდეგ იძულებითი დათმობების წყებამ ნინო ბურჯანაძეში, როგორც ჩანს, საპროტესტო მუხტი გააძლიერა, რადგან კრიტიკულ მომენტებში პარლამენტის თავმჯდომარე არაერთხელ აღმოჩნდა პარტიის გვერდით, მაგრამ საზოგადოების პირისპირ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 7 ნოემბერს და ახალი მემარჯვენეების შიმშილობისას პარლამენტის შენობაში. 7 ნოემბერს მისი პოზიციის გამო პარლამენტის თავმჯდომარეს მადლობა მიხეილ სააკაშვილმა იმ დღესაც კი გადაუხადა, როდესაც ბურჯანაძე ნაციონალურ მოძრაობას ფაქტობრივად გაემიჯნა. მაგრამ ზუსტად იმდენადვე, რამდენადაც პრეზიდენტი კმაყოფილია პარლამენტის თავმჯდომარის ერთგულებით კრიტიკულ მომენტებში, საზოგადოება უკმაყოფილოა ნინო ბურჯანაძის პოზიციით.

როგორც ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა – და როგორც მოსალოდნელიც იყო – ნინო ბურჯანაძემ მაინც ვერ შეიცვალა ბუნება და ვერ იქცა ჭეშმარიტ „ნაციონალად“. მისი განცხადებები, მისი პოზიცია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, პარტიისთვის მძიმე დღეებში, ვერ გახდა საკმარისი იმისათვის, რომ ნინო ბურჯანაძეს თავისი კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა მიხეილ სააკაშვილის გუნდში. სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი – თვისებრივი – წყალგამყოფი გადიოდა ნინო ბურჯანაძესა და პარტიის სხვა ლიდერებს შორის, რამაც გოლოს და გოლოს ერთმანეთისგან – მართალია, ჯერჯერობით, რბილად, მაგრამ მაინც – გამიჯნა რევოლუციის ცოცხლად დარჩენილი ორადორი ლიდერი: მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე.

ია ანთაძე,
გადაიცა „რადიო თავისუფლების“ ეთერითაც.

◎ წინასაარჩევნო სტარტი

მაისიც გაიანვარდება?!.

ნაწვიმარზე ამოწვერილი დაპირებები

ნაწვიმარზე სოკოებივით ამოწვერილი პარტიებით წინ საპარლამენტო არჩევნებისკენ!... სამი თვეა წვიმს და ვისმენთ და ვისმენთ პარტიათა ლიდერების დამოძღვრა-ქადაგებებს, რომ აღარ იციან ეროვნული საბურველი როგორ მოირგონ და ამით ამომრჩეველს თავი როგორ მოაწონონ. ქართული პოლიტიკით ყელყელაობენ – ყველაფერი ქართული, ქრისტიანული, ტრადიციულია მოდაში...

ნაწვიმარზე პარტიებთან ერთად ახალ-ახალი დაპირებებიც უხვად გვეფრქვევა – არიგებენ პოზიციასაც და ოპოზიციასაც.

რაც იანვარში იყო, მაისშიც ის იქნებაო, ამბობენ ერთნი. განა მაისის არჩევნებში რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლება, თარხნიშვილიც კი არ გადადგაო? არც გადადგა და ვერც გადააყენეს. ძალიანაც კარგი, თუ არ გადადგა, აბა, გააყალბოს კიდევ ხმები და მერე ჩვენ ვიცით, რაც მოუვაო... იქადნებიან სხვანი.

სამ თვეში შეიცვლება თარხნიშვილი, თუ რა? აგერ, ჩვენს თვალწინ ცესკოს შენობის „მოიერიშე“ ოპოზიციას პირში ჩალა არ გამოავლო და ნაციონალების სიები მიწიდან არ ამოაძვრინა?... ასეთ მრავალ ტრიუკს 21 მაისსაც ვიხილავთ... ამათ კიდევ – რაც მოუვა, ნახოსო... ხელისუფლება შედეგებს გაინაღდებს და მერე შეიძლება თარხნიშვილის თავიც გადმოუგოროს ოპოზიციას... და განა მარტო თარხნიშვილია პრობლემა – საარჩევნო სისტემაც, რომლითაც ექსპერტები ოპოზიციას მოგებას არ უწინასწარმეტყველებენ.

თავად ოპოზიციაც ერთმანეთის მიმართ ძილიკს არ იშურებს. ისევ მეორდება ძველი შეცდომა. პირველობის ჟინით შეპყრობამ მათ ყველას ერთობა დააკარგვინა. საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ხმები ისევ დანაწილდება და არ არის გამორიცხული, ისევ ხელისუფლება მოვიდეს პარლამენტში უმრავლესობით...

ნაწვიმარზე ყველაზე მეტს იქადნებიან, თითქოსდა, სპეციალურად გაჩენილი ამა თუ იმ პარტიის ლიდერები... ისინი ხელისუფლებასა და ეროვნულ საბჭოს ერთმანეთს ამსგავსებენ, ორივეს აკრიტიკებენ, რომ თურმე მოსახლეობის რაღაც ნაწილს არც ერთი ეს ძალა არ მოსწონს და არჩევნებზე არ წავა. ამიტომ მათ თავად მოევლინნენ ე.წ. მისიონერებად, რომ ამ ხალხს თავიანთი არსებობით არჩევანი გაუადვილონ, რათა სხვა პოლიტიკურ ძალას მიანიჭონ უპირატესობა. ასე მსჯელობენ, საკუთარ ნაკლს კი ვერ ხედავენ – ვინ არიან, საიდან და როგორი პროგრამით მოდიან. პარტიის დასახელებაში ოდენ „საქართველოს“ ან „ქრისტიანულის“ გაჩენა სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი რაიმე განსაკუთრებულს, ღირებულს შექმნიან და ვინმეს გააკვირვებენ... რატომ არ შეუერთდა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა ან ლეიბორისტული პარტია ბლოკს „ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები?“ იმიტომ, რომ პირველობის მანია ძვალსა და რგილში აქვთ გამჯდარი და ყველას ცალ-ცალკე, მათ შორის რესპუბლიკელებსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გამოარჩევთ. ერთობის არმოსურნე პარტიებზე მოარულ ჭორად იმასაც გაიგონებთ, ხელისუფლების თამაშს თამაშობენო. საინტერესოა, მართლაცდა, ვინ ჩაანაცვლებს ნაციონალებს პარლამენტში?

თავად ნაციონალების სია დიდი ვერაფერი ბედენაა, და რაც უნდა ვიძახოთ, რომ ბიზნესმენთა იძულებაა, რომ მაჟორიტარ დეპუტატთა ადგილები შეავსონ, ძართული რეკეტის ფორმაარ, ცხადზე უცხადესია, რომ ხელისუფლება ამით მომგებიან კოზირს ფლობს. ფსიქოლოგიური ფაქტორია – უკიდურესი სილარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა უპირატესობას რომ სწორედ იმ კანდიდატს მიანიჭებს, ვისაც ბევრი ფული აქვს. ულიმლამო სიის ფონზე, ეს გონივრული, მაგრამ არაკეთილსინდისიერი ნაბიჯი, ვფიქრობ, ხელისუფლებას არჩევნებზე უდავოდ წაადგება.

მართალია, ნაციონალებს სიის შედგენისას პრობლემები ჰქონდათ და ბურჯანაძის გუნდი სწორედაც რომ მოისროლეს, რადგან პრეზიდენტის თქმით, „თურმე კაცმა არ იცის, ისინი საიდან მოვიდნენ“. სინამდვილეში, თავი იჩინა კონკურენციის პრინციპმა და სააკაშვილის ხალხზე გაცილებით ძლიერ გუნდს უარი უთხრეს პარლამენტში მოხვედრაზე. თუმცა, გარეგნულად ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ხელისუფლებაში სიმშვიდეა. აღდგომაზე, სამების საკათედრო ტაძარში ბურჯანაძე სააკაშვილის გვერდით იდგა სანთლებით ხელში და ჯოკონდასეული ღიმილით აძლევდა ჟურნალისტებს ინტერვიუს.

ძნელი სათქმელია, არის თუ არა ხელისუფლება პანიკაში, როგორც ეს თუნდაც რესპუბლიკელების ერთ-ერთ ლიდერს ლევან ბერძენიშვილს ჰგონია. შესაძლოა, ხელისუფლებამ საარჩევნო სტარტზე გაყალბებული სია შემოგვაჩიჩა, რათა მასში მსახიობები თუ მომღერლები შეეყვანა, მაგრამ პანიკის საფუძველს არა მგონია, ეს იძლეოდეს... ადმინისტრაციული რესურსი ისევ ხელისუფლების ხელშია, პოლიციური ბერკეტიც ისევ არსებობს. ასე რომ, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, არ არის გამორიცხული, მაისშიც იგივე განმეორდეს. მით უფრო, რომ ლევან ბერძენიშვილის ინფორმაციით, იმ მაჟორიტარ კანდიდატებს, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლები არ არიან, ყველას პრობლემა შეუქმნეს ოფისის გამო. თავად ლევან ბერძენიშვილი იძულებული გამხდარა, საიდუმლოდ ექირავებინა ბინა ფალიაშვილის ქუჩაზე და ბინის მეპატრონესთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაემხილა თავისი ვინაობა. თურმე, ამის გამო, ბინის მეპატრონე სამსახურიდან დაუთხოვიათ...

ასე რომ, ხელისუფლება იოლად არც საპარლამენტო არჩევნებს დათმობს. ამისთვის ოპოზიციურ კანდიდატებზე ზემოქმედებასთან ერთად, პიარაქციებსაც მშვენივრად მიმართავს. ნატოს თემაც და კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო გეგმაც პიარია და სხვა არაფერი. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთი პიარაქციების გამო გართულდა ვითარება აფხაზეთში, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის ნაცვლად, ეს საკითხი პიარს შეეწირა...

სოკოებივით მრავლდება და მრავლდება დაპირებებიც. რომ აღარაფერი ვთქვათ, იაფფასიან პიარზე – გავშვებზე გულანთებულ მზრუნველ დეპუტატებზე, უფასოდ რომ დაჰყავთ ისინი კინოთეატრებში, ანდა, რა შემართებით რგავენ ხეებს საჯარო სკოლებში, ტერიტორიებს ასუფთავებენ...

ამ ძლევამოსილ საქმეებს, საალდგომოდ, ზოგიერთი ნაციონალი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ იერუსალიმიდან ზეციური ცეცხლის ჩამოტანა და ეკლესიისთვის გადაცემა დაემატა. ღმერთმა შემინდოს და, რატომღაც ესეც პიარად აღვიქვი – ძალიან კარგი, თუ ამ საქმეს შეეწივნენ, მაგრამ რად უნდოდა ტელევიზიით გახმიანება?

ამ დღეებში საზოგადოებრივი მაუწყებლით კუნძულ ფილიპინებზე არსებული ჯვარცმის იმიტაცია გაუშუქდა, საალდგომოდ, სულ მცირე 250 დოლარად იქაური მამაკაცები ქრისტესავით ჯვარზე გაკვრას არ დაგზარდებიან. ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიის შემყურეს, იმ აზრამაც კი გამიელვა, პიარისთვის ეგებ, დეპუტატობის ზოგიერთმა კანდიდატმა არც ასეთ შოუზე თქვას უარი-მეთქი...

საარჩევნო ციებ-ცხელება კი თავის ზენიტშია – ხელისუფლება 5 იანვრის არჩევნებზე შენარჩუნებული სტატუს-კვოთი განაგრძობს თამაშს, ოპოზიცია ისევ იმუქრება და სავარაუდოა, რომ თუ აქამდე ვერაფერს გახდა, ვერც მაისში მიაღწევს საწადელს...

თამარ ჯაიშმელაშვილი

№ 79. ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2008 წელი.

სულის გზა

ე.წ. „რეალითი შოუმ“, მიუხედავად დიდი რეკლამისა და ფინანსური მხარდაჭერისა, მოსახლეობაში აღიარება საბოლოოდ მაინც ვერ ჰპოვა. იგივე შეიძლება ითქვას სექსუალურ უმცირესობათა მცდელობაზე, მოეწყოთ მსვლელობა თბილისში. ფეხი ვერც დასმენის გზით სასჯელისაგან გათავისუფლების მეთოდმა მოიკიდა...



„იღვაწე სიმართლისთვის და

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს

(პირველი გვერდიდან)

ჭეშმარიტი სწავლების შესაბამისად კი, ქრისტე ერთდროულადაა სრული ღმერთიც და სრული კაციც. საერთოდ, მართლმადიდებლობა ყოველგვარი უკიდურესობებისგან გამიჯნული სამეუფეო გზაა. აქედან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია თავგანწირვა, მაგრამ მიუღებელია ფანატიზმი, დამახასიათებელია შემწყნარებლობა, მაგრამ მიუღებელია ფსევდოლიბერალიზმი (ყველაფრის დაშვებულობა). ორბუნებოვნების წინააღმდეგ ბრძოლა იყო არა მხოლოდ თეოლოგიური საფუძვლების დარღვევის, არამედ სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის დანერგვის მცდელობა. მაცხოვრის ორბუნებოვნება ნიშნავს ღმერთის მიერ ადამიანის აღიარებას თანაშემოქმედად და ამასთან, ჩვენი კაცობრივი ბუნების განმსჭვალვას უზენაესი საღვთო ღირსებით. თუმცა ამას უნდა მივაღწიოთ, რისთვისაც გვმართებს ძლიერი ნებელობის გამოვლენა და თავდაუზოგავი ღვაწლი; ეს კი საკუთარ თავთან და ბოროტის მიერ დაგებულ ათასგვარ საცდურთან გამუდმებულ ბრძოლას გულისხმობს; ამიტომაც ამქვეყნიურ ეკლესიას მებრძოლი ეკლესია ეწოდება, ზეციურს კი - მოზეიმე. მაგრამ რადგან ეს სოფელი ბოროტსა ზედა დგას, იგი სხვა დინებით მიდის, რომელსაც სინდისის ქენჯნის გარეშე უშფოთველად მიუყვება ადამიანთა დიდი ნაწილი ისე, რომ ვერც აცნობიერებენ, რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად. მაცხოვარი გვაფრთხილებს „სასუფეველი ცათა იიძულების და, რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მთ. 11,12), თუმცა იქვე გვანუგეშებს: „ნუ გეშინინ, მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16,33). ღვთის მიერ მონიჭებული თავისუფალი ნებით ადამიანი არჩევანს თავად აკეთებს და სვლაც სასუფეველისკენ ან ჯოჯოხეთისკენ ყველასთვის აქედან, ამ წუთისოფლიდან იწყება. იმას, თუ მარადიულობაში სად დავიმკვიდრებთ ადგილს, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების წესი განსაზღვრავს, მაგრამ პიროვნებას შეუძლია, სიცოცხლის ბოლოსაც კი რადიკალურად შეცვალოს თავისი მდგომარეობა. გავიხსენოთ იესო ქრისტესთან ერთად ჯვარცმული, მონანული ავაზაკი, რომელმაც პირველმა დაიმკვიდრა ზეციური სასუფეველი; გავიხსენოთ იუდა ისკარიოტელი, რომელიც მოციქულის პატივში იყო ამაღლებული და სხვა მოწაფეთა მსგავსად სასწაულებსაც ახდენდა, მაგრამ საკუთარი არჩევანით ჯოჯოხეთის მკვიდრი გახდა. ამ ორი ადამიანის ყოფამ ერთ ეპოქასა და სივრცეში განვლო. ერთი მათგანი მაცხოვრის უახლოესი მოწაფეთაგანი იყო და ღვთის მადლს ეზიარებოდა, მეორე კი ყაჩაღობდა და უღმერთოდ ცხოვრობდა. მათი აღსასრული ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა! თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი მაგალითები ერთეული, გამონაკლისი შემთხვევებია; ისინი, ერთი მხრივ, ნუგეშის მიმცემია ცოდვით დამძიმებული ადამიანებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, გაფრთხილებაა ღვთისსათნოდ მცხოვრებთათვის.

ადამიანი ხედავს მხოლოდ სახეს კაცისას, ხოლო ღმერთი - გულს და სწორედ გულის სიმართლითა და სიწრფოებით განსჯის ყველას. შეიძლება კაცი, ერთი შეხედვით, კეთილ საქმეთ იქმოდეს, მაგრამ ამას ანგარება ედოს საფუძვლად, ხდება ისეც, რომ ზოგიერთის მიუღებელი ან გაუგებარი ქმედება სინამდვილეში უანგარო თავდადებიდან მომდინარეობს. ამიტომაც ჩვენს შეფასებებში შეიძლება შევცდეთ. ყველას პირუთვნელი და მიუკერძოებელი მსაჯული კი ყოვლადწმინდა სამებაა. ამიტომაც მთავარია, ადამიანი თავის სინდისთან და ღმერთთან იყოს მართალნი და მაშინ უფლის თანადგომას ყოველთვის იგრძნობს. „იღვაწე სიმართლისათვის და ღმერთი იბრძოლებს შენთვის“ - გვასწავლის ბიბლია. ის, ვინც სასუფევლისკენ მიმავალ გზას ადგას, ამ პრინციპით ცხოვრობს: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“? (წმ. ილია მართალი). ადამიანის აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, დემოკრატიული სისტემის პირობებში; იგი უფლებას იძლევა, საზოგადოებამ თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს საკუთარი გარემო: სასწავლებელი, სამსახური, უბანი და სხვა, აირჩიოს ხელისუფლება და, აქედან გამომდინარე, თავისი ცხოვრების წესიც. ხალხს შეუძლია შეცვალოს მისთვის მიუღებელი მდგომარეობა, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს; ამის შედეგია თუნდაც ის, რომ ე.წ. „რეალითი შოუმ“, მიუხედავად დიდი რეკლამისა და ფინანსური მხარდაჭერისა, მოსახლეობაში აღიარება საბოლოოდ მაინც ვერ ჰპოვა. იგივე შეიძლება ითქვას სექსუალურ უმცირესობათა მცდელობაზე, მოეწყოთ მსვლელობა თბილისში. ფეხი ვერც დასმენის გზით სასჯელისაგან გათავისუფლების მეთოდმა მოიკიდა... ჩვენმა საზოგადოებამ მკაფიოდ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამგვარი ცხოვრების წესის მიმართ.

ასე რომ, თუ მოვინდომებთ, ღვთის შეწევნით, სასიკეთო შედეგის მიღწევა ყოველთვის შეიძლება. ქრისტიანობა სხვისთვის ცხოვრებაა, საკუთარ მოთხოვნილებებზე, ზოგჯერ ელემენტარულზეც კი, უარის თქმაა. ჩვენს ქვეყანას კი არა მარტო ეს, არამედ ყველა დროში სჭირდებოდა თავგანწირვაც. ამიტომაც გვყავს ამდენი წმიდანი. სწორედ მათი წყალობით გადავრჩით. ახლანდელი ჩვენი ყოფა კი თითოეული ოჯახისგან, უპირველეს ყოვლისა, ითხოვს იმ ღვაწლს, რასაც მრავალშვილიანობით ქვეყნის მსახურება ჰქვია. დღევანდელ პირობებში ამის განხორციელება რომ ძალიან ძნელია, ვიცით, მაგრამ იგი ერის გადარჩენის გარანტიაა და საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი. სწორედ, დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების მიზნით შევთავაზეთ ჩვენს მოსახლეობას, რომ პატრიარქი ყოფილიყო ყოველი ახლადდაბადებული მესამე და შემდეგი შვილის ნათლია. უახლოეს პერიოდში კი ეკლესიისაგან განსაკუთრებით დაილოცება და ერისათვის თავდადებულის წოდება მიენიჭება იმ ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ისტორიაში სამშობლოსათვის ერთგული მსახურების მრავალი მაგალითია, მაგრამ, ამავე დროს, იყვნენ ხალხისთვის უცნობი გმირებიც, რომელნიც სწორედ დაფარული ღვაწლის გამო არიან ღვთის წინაშე განსაკუთრებით დაფასებულნი და განდიდებულნი; ასეთივე ღვაწლის მტვირთველი იქნება დღეს ყოველი მრავალშვილიანი ოჯახიც. მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად მარტო ერის რიცხვობრივი გამრავლება არ არის საკმარისი.

საჭიროა მომავალი თაობის სწორად აღზრდა და მათთვის სათანადო განათლების მიცემა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მდგომარეობა არ გამოსწორდება, თუ არ მოგვარდება მასწავლებლების სოციალური პრობლემები. ჩვენ ადრეც არაერთხელ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ აუცილებელია, პედაგოგის პროფესია გახდეს პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი, შეიცვალოს სასწავლო პროგრამები, ქრისტიანული სწავლება შეტანილ იქნას სკოლაში და ეკლესიამაც, შესაძლებლობისამებრ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეების სულიერ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში. მით უმეტეს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს სფერო ამ ქვეყნის ტრადიციულ რელიგიას აქვს გადაცემული და ამისთვის კაპელანის ინსტიტუტიც არსებობს (კაპელანი დასავლეთში გავრცელებული ტერმინია და ეწოდება სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურაში, კერძოდ, ჯარში, ციხეში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწე სასულიერო პირს).

მოგეხსენებათ, ბავშვებისათვის შესაბამისი განათლების მიცემა განსაკუთრებით უჭირთ მრავალშვილიან ოჯახებს. მათთვის და ჩემი ნათლულებისთვის ჩვენ შევეცდებით ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას უფასო ბაგა-ბაღების, სკოლების, სხვადასხვა სასწავლო ცენტრისა და სპორტული წრის გახსნით. ბუნებრი-

სულის გზა

● სადაც ამპარტავნებაა, იქვეა პატივმოყვარეობაც. შური კი მათი შვილია. ის, ვინც ცილისმწამებელია, პირდაპირ დემონს ემსახურება. ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს

ღმერთი იბრძოლებს შენთვის!..“

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე

ვია, ამისთვის აუცილებელია, გვქონდეს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი შენობები. და რადგან ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, თანადგომის გარეშე მიზანს ვერ მივაღწევთ. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება გაითვალისწინებს საქმის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და სათანადოდ დაგვეხმარება, რაც ქვეყნის წინსვლისათვის გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება. მივმართავთ ბიზნესმენებსაც, მოსახლეობის შეძლებულ ფენას, საერთოდ ყველას, ვისაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებს, რათა ისინიც ამოგვიდგნენ მხარში. ჩვენ დიდი მადლობა გვსურს გადავუხადოთ იმ ქველმოქმედთ, რომელთა შრომით და სახსრებით დღეს არაერთი ტაძარი და მონასტერი აშენდა საქართველოში. ეს, მართლაც, მადლმოსილი საქმეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული სოციალური პროექტების დაფინანსება. ვიმედოვნებთ, მათი მონდომება ამ მიმართულებითაც შედეგიანი იქნება, რითაც ჩვენს სამშობლოს ყველანი დიდ სამსახურს გავუწევთ. საერთოდ, ღვთისმსახურების შემდეგ სოციალურ საკითხებზე ზრუნვა ეკლესიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მორწმუნე მიზნესმენთ კი შევახსენებთ, რომ თვით ღვთისმოსაობა და პირადი რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრება არაფერს ნიშნავს, თუ ადამიანს არა აქვს მოყვასის სიყვარული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისდამი თანადგომაში უნდა გამოვლინდეს.

„ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ – ბრძანებს წმიდა პავლე მოციქული (გალ. 6,2). წმ. ილია მართალმა, რომელმაც XIX საუკუნის საქართველოს ჯვარი იტვირთა, თავის ეპოქის სატკივრის წამალი სამ სიტყვაში გამოთქვა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ამ დევიზით მან ერს უმთავრესი ფასეულობანი შეახსენა და თავის მოღვაწეობით ჩვენი გადაგვარების მოსურნეთ გზა გადაუკეტა. ილიასეულ ამ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს ჩვენს დროში, ვფიქრობ, ადამიანის პრობლემაც დაემატა. ეს იმან განაპირობა, რომ დღეს პიროვნებამ, შეიძლება ითქვას, ფუნქცია და დანიშნულება დაკარგა, რაც ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, მეორეს მხრივ კი, კაცობრიობის სულიერმა დეგრადირებამ გამოიწვია. მას ფაქტიურად წაერთვა ყველაზე მთავარი რამ, - თავისუფლება. ადამიანი თავისი გამოგონებების მსხვერპლი გახდა და იმდენად შეიზღუდა, რომ პირადი ცხოვრებაც კი კონტროლირებადი გაუხდა. ასეთი რამ არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია მაგ. პლასტიკური ქირურგიის განვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრი დაავადების განკურნება და მძიმე ტრავმების შედეგების თითქმის სრულად გამოსწორება, ეს მისასალმებელია, თუმცა ამ დარგში მიღწევებმა ასევე შესაძლებელი გახადა სქესის შეცვლაც, რაც ღვთის განგებულებაში ადამიანის ჩარევაა და ამდენად სრულიად დაუშვებელი რამ.

იგივე შეიძლება ითქვას გენურ ინჟინერიასთან მიმართებაში. საოცარი შედეგი მივიღეთ დაავადებათა პრევენციასა და დიაგნოსტიკაში, მაგრამ გენების მანიპულირებით და გენმოდიფიცირებული პროდუქტების შექმნით, - მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა. ამ მიმართულების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი იგივე საქმიანობას ეწევიან, რასაც, მაგალითად, სელექციონერები, რომელთაც უკეთესი ჯიშები გამოყავთ. მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდივიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშებთან, მაგრამ არა მაგ. ვაშლთან. გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოხსნილია; გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, მცენარიდან, ცხოველიდან ან ბაქტერიიდან - ადამიანში და ა.შ. ამ დამახინჯებულ გენებს კი აქვთ გამრავლების უნარი, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებული სახეობათშორისი საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დაუაზიანებს. გამოსავალი ერთია, მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე.

ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება. თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადამმუშავებელი ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქციას თავის ადგილს დაუმკვიდრებს.

სამწუხაროდ, 18-წლიანმა გარდამავალმა პერიოდმა ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილში მოშალა სურვილი და განწყობა შრომისადმი. არადა, ნებისმიერი საქმის წარმატებისათვის განწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი საშუალებით ხდება ამა თუ იმ მიმართულებით ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება (დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია). ადამიანს შეუძლია თავისი ენერგია მოახმაროს აღმშენებლობას, ან ნგრევას, ანდა დატოვოს იგი გამოუყენებელი. შრომასთან მიმართებაში ამჟამად არსებული უარყოფითი განწყობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს და ჩვენ საოცარ შედეგს მივიღებთ, რადგან როცა, ამა თუ იმ საქმისადმი მზაობა არსებობს, გარემო პირობები ხელს რომც არ უწყობდეს, მიზანი მაინც მიიღწევა. ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენი ისტორიაა. ჩვენი წინაპრების განწყობამ რწმენის ერთგულებისა და ქვეყნის დაცვისადმი შეგვაძლებინა (ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ), არა მარტო ის, რომ ფიზიკურად გადავრჩენილიყავით, არამედ ისიც, რომ თვითმყოფადი ქართული სამყარო შეგვენარჩუნებინა. ამ წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი დაუღალავი შრომაც იყო.

შრომის მიზანი და შედეგი მარტო კეთილდღეობის მიღწევა არ არის. იგი სულიერ განვითარებასაც უწყობს ხელს. ცხოვრების ეს წესი თვით შემოქმედმა დაგვიდგინა. ამიტომაც მონასტრულ ტიბიკონებში შრომას დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია; მიწასთან, მცენარეებთან, ცხოველებთან მიმართებაში სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა ადამიანს აკეთილშობილებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვირგვინად შეგვქმნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა. ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და ყოველდღიური საქმიანობისას დალოცოს მიწაც, მოსავალიც, პირუტყვიც... ეკლესიაში კი ამისთვის სპეციალური ლოცვებია დადგენილი. ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ამიტომაც ბუნებასთან ერთობაში იყვნენ. თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმარებლური მიდგომით შეცვალა, რაც, თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს კაცობრიობას. ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

ამას კი ვერ შევძლებთ, ღმერთთან კავშირი თუ არ გვექნა. ის, თუ რამდენად შორს (ან ახლოს) ვიქნებით მისგან, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რადგან მაცხოვარი ყოველთვის ახლოსაა ჩვენთან. ასე რომ, ნებისმიერ ჩვენს ქმედებას, ჩვენს სიტყვასა და გულისზრახვას უნდა შევხედოთ როგორც ნაბიჯს, გადადგმულს ზეციისკენ ანდა ჯოჯოხეთისკენ. მართალია, ეს ცხოვრება სწრაფწარმავალია, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მარადიული ნეტარება ან სამუდამოდ დავკარგოთ იგი. მაშ, მოვუსმინოთ წინასწარმეტყველთა და წმიდა მამათა დარიგებებს, რათა შეძლებისდაგვარად დავიცვათ ჩვენი შინაგანი სამყარო დამანგრეველი ცოდვებისაგან: ამპარტავნების, თავისმოყვარეობის, განკითხვის, შურის, ცილისწამებისა და სხვა სიბილწეთაგან, რომელთა მარწუხებშიც მოქცეული და დამონებულია თანამედროვე ადამიანი: „შიში უფლისა დასაბამია სიბრძნისა და მორჩილება წინ უძღვის დიდებას“ (იგავნი 15,33). მოწყალება ისეთი მალამოა, რომელთაც ყველანაირ განსაცდელს უწამლებ. მოწყალების შემდეგ უდიდესი სათნოებაა მადლიერება ღვთისადმი და ადამიანებისადმი. განკითხვის ცოდვა ცეცხლივით დაგწვავს. სადაც ამპარტავნებაა, იქვეა პატივმოყვარეობაც. შური კი მათი შვილია. ის, ვინც ცილისმწამებელია, პირდაპირ დემონს ემსახურება. ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს. მან, ვინც ისწავლა მოთმინება, ისწავლა თითქმის ყველაფერი; მთელი სიბრძნე კი უფლის ამ დარიგებაშია: შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა, გონებითა, ყოვლითა სულითა და ძალითა შენითა; შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი (მთ. 22,37).

ჩვენ, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ბევრჯერ შევცდებით; მთავარია, დაცემის შემდეგ მოვინდომით და შევძლოთ ადგომა. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბედნიერებისათვის ვართ მოწოდებულნი და გვაქვს შესაძლებლობა, შევაღოთ ზეცის კარიბჭე, ვიხმიოთ ტრაპეზი უფლისა და მისი სიყვარულით დავტკბეთ. რა უნდა იყოს ამაზე მნიშვნელოვანი? რა ძალამ უნდა დაგვაბრკოლოს ამის მისაღწევად? ძე ღვთისა გვიწვდის ხელს და თავისთან გვიხმობს. ვინ შეიძლება ვამჯობინოთ მას? შევთხოვ შემოქმედს, მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა თითოეული ჩვენგანის გულში დაიდგას ტახტი და თითოეულ ჩვენგანში ძლეულმა ბოროტმა სულმა იულიანე განდგომილის მსგავსად აღმოთქვას: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“

ღვთაებრივი სიხარულით აღვსილი კიდევ ერთხელ გილოცავთ, – ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2008 წ.

● **თქმა არ უნდა, ისინი სათითაოდ რომ დახოცილიყვნენ, ხელისუფლება წარბს არ შეიხრიდა, ალბათ ზოგიერთნი უზომოდაც გაიხარებდნენ**

◎ **გულის ბუხარი**

ჩატომ არ უყვარს ამ ხელისუფლებას მამულიშვილები?..

...მიტინგი იმ დღესაც 6 საათზე იყო დანიშნული. 25 მარტი, 2008 წელი – ალბათ ერის ისტორიაში ეს დღეც თავის ადგილს დაიკავებს... ნისლში გახვეული ოდნავ მიმცხრალი მზე ფუნიკულიორის თავზე გორავდა.

რუსთაველი გადაკეტილია, რაღაც უჩვეულო მოლოდინის გრძნობა დაუფლებია ირგვლივ ყველას. თუმცა წინა დღით ამ დროს ორჯერ მეტი ხალხი მოვიდა. იქ იდგა თითქმის ყველა ასაკის ადამიანი, ბავშვებიც ახლდნენ. ბევრმა მათგანმა ღამეც იქ გაათია. ისინი იბრძოდნენ და იბრძვიან ქვეყნის გადარჩენისთვის, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად. იმ დღეს რაღაც ხალხის ნაკლებობა იყო, თუმცა თანდათან შეივსო მომიტინგეთა რიგები. მოშიმშილეებიც კარგად გრძნობენ თავს, მხოლოდ ზვიად ძიძიგურს უმტყუნა ჯანმრთელობამ. მეჩვიდმეტე დღეს მიტინგის დაწყება გაიწელა, რაღაც პრობლემები შეიქმნა. იმავე დღეს მომიტინგეებთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიბრძანებულა და ჯერ არავინ იცოდა, კონკრეტულად რაზე უსაუბრია მათთან.

მიტინგის დაწყება ჭიანურდება, ათასი ჭორი დადის...

როგორც იქნა მიკროფონი ახმაურდა, ჯერ გიორგი ხაინდრავა მოგვესალმა, მერე კობა დავითაშვილი გამოვიდა სიტყვით, მაგრამ შეფერთხილი და მაინც ომახიანად განგვიცხადა, რომ...

მოხდა ის, რისიც გვეშინოდა, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო, შიმშილობას ვწყვეტთ, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებთ, თუმცა მეტი სიმძაფრით, – მამულიშვილები თავგანწირვისთვის ემზადებიან. თქმა არ უნდა, ისინი სათითაოდ რომ დახოცილიყვნენ, ხელისუფლება წარბს არ შეიხრიდა, ალბათ ზოგიერთნი უზომოდაც გაიხარებდნენ.

არ ვიცით, ვერ გავრკვეულვართ, რას მიაღწიეს მოშიმშილეებმა, რას მივაღწიეთ ჩვენ, მომიტინგეებმა, რომლებიც თითქმის ყოველდღე იქ ვიდექით და, საერთოდ, რა შედეგს მოიტანს მთელი ეს ვნებათაღელვა, ნოემბრის დასაწყისიდან მოყოლებული. მე და ჩემი მეგობრები რუსთავიდან დავდივართ. რუსთაველები, როგორც წესი, აქ ყოველთვის მრავლობენ.

– წავიდეთ, – გატეხილი მეუბნება ზურაბ გორგიაშვილი, რომელსაც დიაბეტი აწუხებს. 7 საათზე ნემსი უნდა გაიკეთოს, თუმცა სხვა დღეებში ამას არად დაგიდევდათ. შალვამ წუხელ ღამე აქ გაათია ხალვათად ჩაცმულმა და გაციებულია, მაგრამ გულში აქ დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი. ვიცოდით, მოშიმშილე ორატორები ყოველმხრივ გაგვამხნევებდნენ. ისე კი მართლები არიან. პარტიის ლიდერები თუ დაუძლურდნენ, მერე ხალხისთვის ვიღა იბრძოლებს, ვინ გაუძღვება?

არადა, ნაღდია, ხალხს შინ წასვლა არ უნდა, ერთხელ დაწყებული საქვეყნო საქმის ლოგიკურ შედეგს ელოდება, თუმცა ცხადია, შიმშილობის ვარიანტმა შედეგი არ გამოიღო. ვტოვებთ მოგუგუნე რუსთაველს და ქაშუეთის ბაღში ჩავდივართ. აი, ჩვენს წინ ბატონი რეზო ესაძე მძიმედ მოაბიჯებს.

– ბატონო რეზო, – გახარებული შალო გვერდში ამოუდგა, – ჩვენ რუსთაველები ვართ, მიხარია, რომ შეგხვდით...

ჩვენც მივუახლოვდით და გავესაუბრეთ. ბატონი რეზო უცებ გახალისდა.

– ფეხს ვითრევდი წამოსვლაზე, გული საშინელ დღეში მაქვს და ბოლოს შინიდან მაინც გამოვიპარე. ახლა სახლში რომ დავბრუნდები, იმ თორმეტი მეტრის გავლას ვუფრთხი, რომელიც ჩემს ოთახამდეა. მანამდე ჩემიანები ჩემს შეხურებას მოასწრებენ, მერე კი ოთახში ჩავიკეტები...

– ნუთუ ასე ძალიან გაწუხებთ გული?! – ჩავეძიეთ.

– ღმერთმა გადამარჩინა, ღვთის მადლმა მიხსნა, – გულის ჯიბიდან მაცხოვრის ხატს იღებს და ეამბორება, მერე გვიყვება, თუ როგორ ჩაიქნიეს ხელი ჩვენმა მკურნალებმა. აქ ოპერაცია ვერავინ გაბედა. მერე ერთმა მილიონერმა, თურქეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ითავა მისი გადარჩენა. თურქეთში წაიყვანა და თანხა არ დაუშურებია, ოღონდ კი ოპერაცია დადებითი შედეგით დასრულებულიყო. თავიდან უცხოელმა ექიმებმაც უარი უთხრეს, ამას ვერ გავრისკავთო. საშინელი დღეები გადაუტანია ბატონ რეზოს. შემდეგ რატომღაც დასთანხმდნენ და სანამ საოპერაციოში შეიყვანდნენ, საათნახევარი ელოდა. მერე იქ რაც იხილეს, თავიდან მკურნალებმაც კი ვერ დაიჯერეს. ბატონი რეზო თვლის, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ უფლის ნებით მოხდა.

– ახლა სიარული მეკრძალება, მაგრამ შინ ვერ გავძელი, გამოვიპარე, მიტინგზე დგომა და მოშიმშილეთა თანადგომა ყველა ჩვენგანის ვალია.

– ახლა რაზე მუშაობთ? – დაინტერესდა ვალიკო შერაზადიშვილი.

– გალაკტიონზე ფილმს ვიღებ, – თვალები უსხივოსნდება და ვხედავთ ისე გაახალისა ჩვენთან საუბარმა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, – ხომ დიდი იყო გალაკტიონი, გასული საუკუნის გენია და ეს დიდი კაცი ერთთავად კიდევ იმას ესწრაფოდა, აკაკის გატოლებოდა.

– აკაკი უფრო დიდი იყო? – ინტერესდება შალვა.

– ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტოო, – ისე გენიალურად გალობდა... აი, სოსომ რომ თქვა, ვარდს გაეფურჩქნა კოკორიო... ის რომ პოლიტიკას არ გაყოლოდა, გვეყოლებოდა ასევე გენიალური პოეტი – იოსებ ჯუღაშვილი, – წამით ყოვნდება, – ისე სახელმწიფოს მართვაზე ფიქრმა კიდევ ერთი დიდი პოეტი წაგვართვა, დავით აღმაშენებელი, მისი „გალობანი სინანულისანი“ ხომ საოცრებაა..

– მაგრამ საქართველო არ გვექნებოდა, – სიტყვას აწყვეტინებს ზურაბი,

– იგი საქართველოს ბედი იყო, მისი ვარსკვლავი.

ანაზდად ბაღის კიდესთან, კიბის საფეხურზე ოთარ მელვინეთუხუცესმა ამოაბიჯა. ბატონი რეზო რომ დაინახა, გადაეხვია.

– რა ხდება, მიტინგი უკვე დაიშალა? – იჭვნეულად გვეკითხება, – შემაგვიანდა, არადა...

– ჯერ არა, მაგრამ მოშიმშილეები დგებიან და...

– მაშინ წავალ, ბიჭებს გავამხნევებ, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიაღებინა ჰატრიარქმა. გადამწყვეტი ბრძოლა წინ გველოდება.

– მეც ასე მგონია, – უდასტურებს ბატონი რეზო. ბატონი ოთარი მომიტინგეებისკენ მიიჩქარის, ჩვენც გვემშვიდობება.

– ახლა უფრო მხნედ ვგრძნობ თავს, თქვენთან საუბარში გულიც გადამავიწყდა და შინაურების საყვედურსაც ალბათ უფრო ადვილად ავირიდებ, – გაგვეხუმრა და გაგვილიმა ბატონმა რეზომ და ისე დაგვემშვიდობა, თითქოს მართლა მისი დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

მიდიოდა ეს ტანდაბალი, მაგრამ დიდი მამულიშვილური მრწამსის, სამშობლოს სიყვარულით გულაგიზგიზებული შესანიშნავი ხელოვანი და ჩვენც ერთხელ კიდევ ვირწმუნეთ, რომ ქვეყანა, რომელსაც ასეთი სასახელო შვილები ჰყავს, მარტო გადარჩება კი არა, გაბრწყინდება კიდეც.

მერე კი ერთმანეთს უკვე მერამდენედ ვეკითხებოდით – რატომ, რატომ ეჯავრება ამ ხელისუფლებას ქართველები ან ეს გულმხურვალე, სამშობლოსათვის გადაგებული მამულიშვილები?!

გივი ჯახუა

◎ **ჭირი დანახული ჯობს**

ლაპარაკის ნაცვლად საქმე, იცოცხლე, კარგია, ოღონდ არა საორხელო, ანუ ხელმეორედ გასაკეთებელი

ოჰ, ეს არჩევნები... ნეტავი სულ არჩევნების რეჟიმით ვცხოვრობდეთ, ზღვა დაპირებებთან ერთად ცოტა-ცოტა საქმეების მოწმენიც გავხდებოდით. საქართველო სიღარიბის გარეშე სლოგანი უკვე ახალმა შეცვლა – ლაპარაკის ნაცვლად საქმე გაჩნდა, თუმცა ეს სლოგანიც ჯერჯერობით მარტოოდენ ლაპარაკის თემაა.

ლაპარაკით კი ახალი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატები ლაპარაკობენ, განსაკუთრებით სახელისუფლებო კანდიდატები არიან ენად გაკრეფილი. ამათმა ეგრეთ წოდებულმა ბილბორდებმა ხომ მთელი საქართველო დაფარა. მცხეთიდან თბილისამდე ტრასა და თვითონ თბილისში ყოველ ორმოცდაათ მეტრშია გამოფენილი ვინმე გიორგი მელაძის პორტრეტი, რომელსაც გულმოწყალე ღიმილი (მამა აბრამის ბატკანი რომ გაილიმებდა, სწორედ ისეთიძ ამშვენებს და იქვე თვალში გეცემათ წარწერა, ხმა მიეცით გიორგი მელაძესო. ამ ყველაფერში კი ის იგულისხმება, კარგი, უზრუნველი ცხოვრება თუ გინდათო. მაგრამ, როგორ და რანაირად, ამაზე აღარაფერია ნათქვამი. ჩანს, ამას ამ მამა აბრამის ბატკნის ღიმილით უნდა მივხვდეთ...

ბუშინდელი ფოსტიდან

ხოლო მელაძე რა მამა აბრამის ბატკანიც ბრძანდება, იქიდან ჩანს, რისი გაკეთებაც (უფრო სწორად, რისი არგაკეთებაცძ მოასწრო თავისი არცთუ ხანგრძლივი საქმიანობის მანძილზე, ანუ ქონების მართვის სააგენტოსა და თბილისის მერიაში მუშაობისას, როცა მხოლოდ და მხოლოდ „ზემოდან“ წამოსული არასწორი დავალებების შესრულებით იყო დაკავებული, რაც სიმართლის გაუკულმართებაში მდგომარეობდა.

ზემოთ ნათქვამის დასამტკიცებლად შორს არ წავალ... ჩვენი ეზო სამ დიდ კორპუსს აერთიანებს – ჰეკინის 16 და 18 ნომრებს, აგრეთვე საბურთალოს 35 ა. სულ ცოტა, ალბათ, ორასი ოჯახი მაინც ვიქნებით. ავად თუ კარგად პატარა მოედანიც გვქონდა, სადაც ჩვენი ეზოს პატარებიც ერთობოდნენ და მოზრდილებიც ვახერხებდით რამდენიმე მცირე სკვერში დასვენებას...

ჯერ კიდევ შარშან გარაჟები აიღეს, ძველი მოედანი და სკვერები, როგორც იტყვიან, მიწასთან გაასწორეს და დაგვპირდნენ, რომ მალე ჩვენს ძველ ეზოს ვეღარ ვიცნობდით, ისე გალამაზდებოდა აქაურობა... ეს აზრი ჩვენმა დეპუტატობის კანდიდატმა მელაძემაც განგვიმტკიცა, როცა ამას წინათ ეზოში გვეწვია და, რა ვიცი, რაღას არ დაგვპირდა, დაპირებებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ასფალტი დაგვიგეს ეზოში, მაგრამ ვაი ამ დაგებას... ბორდიურებიც შიგ მოაყოლეს და წყლის ჭებიც. ერთი სიტყვით, საორხელოდ დაბეს, ანუ ხელმეორედ გასაკეთებელი გახადეს. რაც შეეხება მოედანსა და სკვერებს, ისევ ისე ხელდაუკარებელია და, ის კი არა, ზედ საბურთალოს და ჰეკინის ქუჩების ტრანსპორტმა დაიწყო სიარული.

ასე რომ, ლაპარაკის ნაცვლად არა საქმე, არამედ ფუჭი დაპირებებით „დაბომბილი“ ეზო შემოგვრჩა ხელთ. არჩევნებამდე კი ოციოდე დღეღა დარჩა. როგორც ჩანს, ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი, რომელსაც ლაპარაკი ნამდვილად არ ეხერხება, არც სახალხო საქმის კეთებისთვის იკლავს თავს. ამიტომ სლოგანი – **ლაპარაკის ნაცვლად საქმე**, ალბათ, უნდა შევცვალოთ კიდევ ერთი ახალი სლოგანით – ტყუილს გეტყვით, ცამ ქუხილი დაიწყოს...

არჩილ მალაციძე,
თბილისელი მოქალაქე

ჯარისკაცი სამსახურს „უკეთ გაივლის“, თუ მას საკუთარი აზროვნების უნარი დაქვეითებული აქვს. მთავარია, რომ მას „ბრძანების მოსმენის“, და შემდეგ, „უსიტყვოდ შესრულების უნარ-ჩვევები“ ჰქონდეს. სწორედ ასეთი ჯარისკაცები არიან მათთვის „სანდო პატრიოტები“

◎ არის ასეთი აზრიც!

ეჰ, „ნატო“, „ნატო“... რას გვერჩი?

ნეტავ რა გვინდა „ნატოსგან“, ან „ნატო“ რას გვერჩის?

დიდი აურზარია ატეხილი. პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენელი ქართველი პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობა თურმე „ნატომ“ მოხიბლა, მაგრამ იმის გარდა, რომ ის საქართველოს „სტაბილურობის გარანტიაა“ და აფხაზეთსაც, შესაძლოა, დაგვიბრუნებს, სხვა ვერაფერი მოვისმინე.

ჩვენი უბადრუკი მდგომარეობის „სტაბილურობა“ მაინც რა ბედენაა? არ მესმის. ვერც ის გამიგია, როგორ დაგვეხმარება ჩვენთვის ასე „მომხიბვლელი ნატო“ „დაჭრილი“ საქართველოს „გამთელებაში“. ვითომ „ნატოს“ დროშით შემოსული თურქი ჯარისკაცები აფხაზეთს „ლანგრით მოგვართმევენ“?

იქნებ „მოგვართვან“ კიდეც, მაგრამ რის ფასად?

ამას წინათ რუსული ტელევიზიის პირველი არხით კვლავ გაისმა დიდი თურქეთის შექმნის იდეა: **„თურქეთ-კავკასიის კონფედერაცია“!** სწორედ ამ კონფედერაციის შექმნისთვის დაწყებულა „ჩეჩნეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობა“, სადაც სამხრეთმაც და დასავლეთმაც საკმაო თანხა „ჩადო“ და „ცეერუს“ ემისრებსაც დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ. ყველაფერი კი თურმე „ყარაგაღლით“ დაწყებულა და ამ კონფლიქტს დასასრული ჯერაც არ უჩანს. არც აფხაზეთის პრობლემას უჩანს დასასრული, თუმცა, **„ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაცია“**, სადაც სოხუმი დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, რუსეთის „კაგებეემ“ ჩაშალა, მაგრამ ჩეჩნეთში ჩადებული ნაღმის აფეთქების ჩაქროება ჩრდილოეთ კავკასიაში, ადვილი არ აღმოჩნდა.

იქნებ რუსეთის დასაშინებლად გვინდა „ნატო“? ეტყობა, ამისი იმედი გვაქვს, თორემ საკუთარი თავის იმედად ყოფნა ძალზე ძნელი ყოფილა. ამიტომაც ჩაგვიტარეს რეფორმები ამერიკელებმა – მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის ექსპერტებმა. ამ რეფორმების შედეგად რაც მივიღეთ, კარგად ვხედავთ.

როგორც ჩანს, სწორედ „ნატოს“ საჭიროებებისთვის ჩატარდა სასკოლო განათლების დამანგრეველი რეფორმა: სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა 12 წლამდე მაშინ, როდესაც სასწავლო პროგრამები ადრე არსებულ მეშვიდე კლასის განათლების დონეს არ აღემატება!

> **რატომ ებრძვი? გულში ჩაიხუტე და ისე მოახრჩვე.**
>
> **თურქული ანდაზა**

რატომ იყო ეს საჭირო? ჯარისკაცი სამსახურს „უკეთ გაივლის“, თუ მას საკუთარი აზროვნების უნარი დაქვეითებული აქვს. მთავარია, რომ მას „ბრძანების მოსმენის“, და შემდეგ, „უსიტყვოდ შესრულების უნარ-ჩვევები“ ჰქონდეს. სწორედ ასეთი ჯარისკაცები არიან მათთვის „სანდო პატრიოტები“. ეს ის „პატრიოტები“ იყვნენ, რომლებმაც საკუთარ ხალხს 7 ნოემბერი მოუწყეს: ასეთები საკუთარ ძმასაც გასწირავენ და მშობლებსაც...

ასეთი ჯარისკაცები სჭირდება „ნატოს“ და ქართული სკოლაც სწორედ ასეთი ჯარისკაცების „სამჭედლოა“. სწორედ ასეთი ჯარი შექმნა „ნატომ“ თურქეთში. ეს მუსულმანურ სამყაროში ერთადერთი ჯარია, რომელიც ბრძანებით საკუთარ ხალხს ესვრის. ასეთი ჯარი საქართველოშიც იქმნება და სწორედ ამიტომ ხდება ახალგაზრდების ზომბირება ე.წ. „პატრიოტულ განაკეგში“.

საქართველოში შემოგრძანებული „ნატო“ რომელ ფრონტზე იომებს? ირანს „დაარტყამს“ თუ რუსეთს? იქნებ თვით საქართველო გადაიქცეს სხვათა ომის ასპარეზად?

„თუ ნატოში შევალთ, რუსეთი ვერ დაგვიპყრობსო“, – ამბობს ზოგი პოლიტიკოსი. იქნებ ესაა „ნატოს“ მთავარი მისია საქართველოში? ნეტა უკრაინაშიც ასე ფიქრობენ?

„ჩვენ არ დავწყნარდებით, სანამ საქართველო ერთიანი არ გახდება!“ – ბრძანა მთავარსარდალმა სააკაშვილმა. მაშინ, „ნატოს“ სტაბილურობა რას ნიშნავს? თუ ჩვენი დაწყნარება მისი მთავარი ამოცანაა, ვითომ აფხაზეთს „ნატო“ დაგვიბრუნებს?

იქნებ დაგვიბრუნოს კიდეც, თუ თურქეთ-კავკასიის კონფედერაციის „დიდ გაერთიანებაში“ მოვხვდით!

რუსი ჯარისკაცის ჩექმა ქართველმა კარგად „იგემა“ გასულ საუკუნეში. მართალია, ამ „ჩექმის“ მიუხედავად საქართველოს ერთი ნაწილი მაინც შევინარჩუნეთ, თუმცა სოჭის ოლქი და აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიწები ჩამოგვაჭრეს, მაგრამ რაღაცა ხომ გადარჩა?

იხ. 8 გვ.

№ 79. ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2008 წელი.

◎ კითხული კაცის აზრი

***საქართველომ** გაეროში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში დასავლეთის ქვეყნების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო. გაეროს უშიშროების საბჭოს სამმა მუდმივმა წევრმა ქვეყანამ – დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა, საფრანგეთმა და კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა მოთამაშე გერმანიამ მოუწოდეს რუსეთს, „გააუქმოს ან არ შეასრულოს“ პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის გადაწყვეტილება „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესახებ,“ რომელმაც თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების მორიგი დაძაბვა გამოიწვია.*

დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-სა და საფრანგეთის ერთობლივი კომუნიკე იმ თვალსაზრისითაც არის ქართული მხარისათვის საყურადღებო, რომ ოთხივე ეს ქვეყანა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ფარგლებში მოქმედი გაეროს გენმდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრები არიან.

ქართული მხარის სასარგებლოდ დასავლეთის ქვეყნების მიერ მიღებული ერთობლივი კომუნიკეს მნიშვნელობაზე „ინტერპრესნიუსი“ მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ცნობილ რუს ექსპერტს დიმიტრი ტრენინს ესაუბრა.

ვიტალი ტრენინი: რუსეთი კომუნიკეზე ხელმომწერი სახელმწიფოების პოზიციის იგნორირებას ვერ შეძლებს

— ბატონო დიმიტრი, როგორ შეაფასებდით გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების — დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-სა და საფრანგეთის მიერ ერთობლივად შემუშავებულ კომუნიკეს, რომლითაც გაეროს გენმდივნის მეგობარმა ქვეყნებმა რუსეთს, „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესახებ“ პრეზიდენტ პუტინის მიერ 16 აპრილს ხელმოწერილი განკარგულების „გაუქმების ან შეუსრულებლობისკენ“ მოუწოდეს?

— დასავლეთის ქვეყნებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთში შემდგომი ინტეგრირებით ამ რეგიონების საქართველოსაგან საგოლოოდ ჩამოშორების საფუძველს ქმნის. ასე თვლიან კომუნიკეს ხელმომწერი სახელმწიფოები.

კომუნიკეს ავტორები, მოსკოვის მოქმედების მთავარ საფრთხეს რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში საზღვრების რევიზიას მიიჩნევენ. შეშფოთების ეს და სხვა მიზეზები ასახულია ერთობლივ კომუნიკეში.

— კომუნიკეზე თავისი მოსაზრება არა ერთმა რუსმა პოლიტიკოსმა გამოთქვა. გასაგებია, რომ სერიოზულ გადაწყვეტილებებს დუმის დეპუტატები არ იღებენ, მაგრამ ის, რომ რუსეთის საგარეო უწყება წამყვანი ქვეყნების მიერ მიღებულ კომუნიკეს არ იმჩნევს და არც რეაგირებს, გაკვირვებას იწვევს. თქვენი აზრით, რამდენად გაითვალისწინებს რუსეთი დასავლეთის პოზიციას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით?

— მოსკოვი საქართველოსთან ურთიერთობებში ცდილობს, გაატაროს საკმაოდ რთული ხაზი. ერთი მხრივ, რუსეთი არ მიდის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფორმალურ აღიარებაზე, ანუ კავკასიაში არ იმეორებს კოსოვოს პრეცედენტს, რისი შიში დასავლეთში არსებობდა. რუსეთი ფორმალურად რჩება იმ პოზიციაზე, რომლის თანახმადაც იგი იცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

მაგრამ იმავდროულად, მოსკოვი თბილისს უგზავნის სიგნალს იმის შესახებ, რომ საქართველოს ნატოში შემდგომი ინტეგრაციის შემთხვევაში, საქართველო შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვამდე მიიყვანოს. რამდენადაც მე მესმის, მოსკოვს საქართველოზე ზეგავლენის ან ზეწოლის მოხდენის სხვა საშუალება არ აქვს.

ამით რუსეთი საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას არჩევანის წინაშე აყენებს – რა უფრო მთავარია, რაღაც პირობებით ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება (რუსეთი პრინციპში მზადაა ამას დაუჭიროს მხარი, თუ საქართველოს დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრაცია.

— ბატონო დიმიტრი, რა გამოდის, რუსეთი უარს აცხადებს იმის აღიარებაზე, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და აქვს სუვერენული უფლება, თავად გადაწყვიტოს რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრდეს თუ არა?

— რუსეთში არავინ უარყოფს, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და მას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება.

— იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარებას რეალურად რუსეთი აკონტროლებს და ეს ტერიტორიები ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის ნაწილებია, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რუსეთი მართლა აღიარებს თუ არა მათ დამოუკიდებლობას...

— არა, ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობას რუსეთის პასპორტები აქვს, მოსკოვი კი დგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოზიციაზე, მაგრამ მოსკოვი თბილისს აწვდის სიგნალს იმის შესახებ, რომ ვითარების შემოგრუნება შეუძლია.

— თქვენ სერიოზულად მიიჩნევთ რუსეთის მუქარას იმის შესახებ, რომ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს?

— მიმაჩნია, რომ რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრებას წითელ ზოლად განიხილავს. იმაზე, თუ რა ფორმებს მიიღებს ამის შემდეგ რუსეთის მოქმედება, ახლა მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება, მაგრამ ცხადია, რომ კონფლიქტების მოგვარებისა და საქართველოსთან ურთიერთობების თვალსაზრისით, ეს ახალი ეტაპის დასაწყისი იქნება. მას შემდეგ, რაც კოსოვოში მოხდა, გამორიცხული არაფერია.

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ სერბები კოსოვოში ალბანელების გენოციდისთვის დაისაჯნენ. ამის გამო მიიჩნევა კოსოვოს დამოუკიდებლობა „უნიკალურ შემთხვევად“, აფხაზეთში კი ქართველთა ეთნოწმენდა ფაქტია. რა გამოდის? რუსეთი მხარს უჭერს და ახალისებს ეთნოწმენდის ორგანიზატორ მხარეს?

იხ. 8 გვ.

№ 79. ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2008 წელი.

პოლიტიკურ სივრცეში

ახლა, როცა ასეთივე მოსაზრებები ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა გამოხატეს, რუსეთი კომუნიკეზე ხელმომწერი სახელ



◉ არის ასეთი აზრიც!

ეჰ, „ნატო“, „ნატო“... რას გვერჩი?

(მეშვიდე გვერდიდან)

ჩვენ ამ „ჩექმის ქვეშაც“ შევინარჩუნეთ ენა და სარწმუნოება, ქართული ტერიტორიის თუნდაც ერთი ნაწილი, მაგრამ ახლა ქართველი გაყიდულ მიწასთან და წყალთან ერთად სულიერებასაც თანდათან კარგავს... რუსეთის „ჩექმით“ დაშინებულებს „ნატოს“ თურქი ჯარისკაცები გადაგვთელავენ და დაგვაწყნარებენ კიდეც.

დაგვაწყნარებენ იმ „დაწყნარებული“ ქართველებივით, ახლა თურქეთში რომ ცხოვრობენ.

1983 წელს უნივერსიტეტში ლექციების სპეცკურსის წასაკითხად ჩემი ამერიკელი მეგობარი, გამოჩენილი ფიზიკოსი, პროფესორი როლფ გროსი მოვიწვიე, რომელიც „აეროკოსმოსურ კორპორაციაში“ მუშაობდა და ქიმიური ლაზერის ერთ-ერთი შემქმნელია. ერთხელ მეუბნება:

„თქვენ რუსების კი არა, ამერიკელების უნდა გეშინოდეთო“.

„რატომ? — ვკითხე — **ამერიკა ცხრა მთას იქითაა, ჩვენ კი უკვე 200 წელია რუსეთის ქვეშევრდომები ვართ“.**

მან მიპასუხა: **„მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკელთა სტრატეგიული ინტერესია, რომ რუსეთის გვერდით ისეთი ზესახელმწიფო შეიქმნას, რომელიც რუსეთს დაუპირისპირდება. ამიტომ მოვაწყეთ „კულტურული რევოლუცია“ ჩინეთში, რაც 7 მილიარდამდე დოლარი დაგვიჯდა, მაგრამ არ გაგვიმართლა, რადგან ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან დაპირისპირება აღარ ისურვა. არც ირანმა გაგვიმართლა — მათ შაჰი გააგდეს და ახლა უკანასკნელი იმედი თურქეთია, რომელსაც, ზესახელმწიფოს გადაქცევისთვის ამერიკა ყოველწლიურად 30 მილიარდ დოლარს ჩუქნის. მაგრამ, ეს არაა საკმარისი. მართალია, „ნატოს“ ეგიდით მას ძლიერი ჯარი ჰყავს, მაგრამ ზესახელმწიფო რომ გახდეს, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად უნდა დაიკავოს ტერიტორია: ყირიმიდან დაწყებული, მთელი კავკასია კასპიის ნავთობით და თურქულენოვანი ორი შუა აზიის რესპუბლიკის ჩათვლით“.**

იმედი მქონდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებს ეს ინტერესი გაუქრებოდათ, მაგრამ მათი ამჟამინდელი მისწრაფება საქართველოს „ნატოში“ შეყვანისა, ამ იმედს მისპობს. **ალბათ სწორედ ამ სტრატეგიული ინტერესის რეალიზაციისთვისაა „ნატო“ მოწოდებული.** ასე საქართველოც გაერთიანდება და აფხაზეთსაც

შემოვიერთებთ, სამაჩაბლოსაც, ტაო-კლარჯეთსაც და თურქების, აზერბაიჯანელებისა და სომხების მიერ მიტაცებულ მიწებს, ოღონდ **თურქეთის დროშის ქვეშ და კავკასიის სახელით დიდი თურქეთ-კავკასიის კონფედერაციაში აღმოვჩნდებით.**

ესაა დიდი გაერთიანების მიზანი!

ალბათ ესაა „ნატოს“ მიზანი!

რაც ამერიკელმა მეგობარმა მითხრა, ცხადია რუსეთის „კაგებემაც“ კარგად იცის. ეტყობა, სწორედ ამ სტრატეგიული ინტერესის ეშინია რუსეთს და ის ყოველთვის გაშმაგებულ წინააღმდეგობას გაუწევს „ნატოს“ კავკასიაში შემოსვლას. „ნატოს“ შემდეგი სამიზნე კი უთუოდ აზერბაიჯანია, რომელსაც ალბათ ყარაბაღსაც დაუბრუნებს.

თუ ევროპა გაერთიანდა, აზიის გაერთიანებას წინ ვინღა აღუდგება? შესძლებს კი რუსეთი ხელის შეშლას? აქვს კი ამისი შნო, როდესაც მას თავად ემუქრება შემდგომი დაშლა-დაქუცმაცება?

ჰკითხეთ ევროპელებს, თუ რამდენად მოსწონთ ევროკავშირში ცხოვრება. პოლიტიკოსებისა რა მოგახსენოთ, ხალხი კი, განსაკუთრებით ინტელიგენცია, ძალზე უკმაყოფილოა იმით, რომ ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოები ეროვნულობას კარგავენ, მუსულმანთა ექსპანსიას ვეღარ უძლებენ და „ნატოც“ სწორედ ამ მუსულმანების მხარესაა.

ევროპა საკუთარი პრობლემებით ისეა შეწუხებული, რომ კავკასიისთვის სულაც არ „ცხელა“. ჩვენ კი, ეტყობა, გლობალიზაციის მსხვერპლნი გავხდებით და სწორედ „ნატო“ მოგვიღებს ბოლოს...

გაამერიკებული ქართველი პოლიტიკოსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **მხოლოდ მაღალი ღმერთის იმედი გვრჩება, რომ ღვთისმშობლის წილ ქვეყანას არ გაწირავს!**

მერაბ ჯიბლაძე,
„ქართული აკადემია“

◉ კითხული კაცის აზრი

ვიტალი ტრენინი: რუსეთი კომუნიკეზე ხელმომწერი სახელმწიფოების პოზიციის იგნორირებას ვერ შეძლებს

(მეშვიდე გვერდიდან)

— რუსეთის ხელისუფლება დაახლოებით ასეთი სქემით ხელმძღვანელობს, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა კოსოვოში გააკეთეს ის, რაც უნდოდათ და ყურადღება არ მიაქციეს საერთაშორისო სამართალს. მოსკოვში თვლიან, რომ იგივეს გაკეთება შეუძლია რუსეთს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემთხვევაში რუსეთიც იტყვის, საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, „უნიკალური შემთხვევააო“.

— ე. ი. რუსეთის აზრით, სერბების განაწყენება დაუშვებელია, ქართველების კი შესაძლებელი?

— როგორც ხედავთ, ჩვენ მოწმე ვართ ორივე მხრიდან ორმაგი სტანდარტების დემონსტრირებისა, თანაც დაუფარავად. ფაქტია, რომ პუტინის განკარგულებით, რუსეთმა საქართველოს საკმაოდ ძლიერი სიგნალი გაუგზავნა იმის შესახებ, რომ მოსკოვს ასე მოქცევა შეუძლია.

— თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. როგორ ფიქრობთ, საქართველოს მიერ ნატოზე უარის უთქმელობის შემთხვევაში მოსკოვი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მითვისების შემდეგ პრეტენზიებს ზუგდიდზე, გორზე, თელავზე განაცხადებს და მერე თბილისის ჯერიც დადგება?

— არ ვიცი, ასე ფიქრობენ თუ არა რუსეთში, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ ამ საკითხებზე და იმაზე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება გარდუვალი პროცესია, რუს პოლიტიკოსებს გასაუბრებოდით, მათ, ვინც მოსკოვში გადაწყვეტილებებს იღებს.

— სულ უფრო გახშირდა საუბრები იმაზე, რომ რუსეთი, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე, აღარ შეიძლება იყოს გაეროს გენმდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი და რუსეთის მონაწილეობით აღარ უნდა მიმდინარეობდეს სამშვიდობო ოპერაცია. როგორ აღიქვამს რუსეთის პოლიტელიტა ამგვარ, უკვე ხმამაღლა და არა მარტო ქართული მხარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს?

— ამგვარ ბრალდებებს რუსეთი საქართველოსგან 10 წელზე მეტია ისმენს, მაგრამ ახლა, როცა ასეთივე მოსაზრებები ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა გამოხატეს, რუსეთი კომუნიკეზე ხელმომწერი სახელმწიფოების პოზიციის იგნორირებას ვეღარ შეძლებს.

დარწმუნებული ვარ, რომ კომუნიკეზე ხელმომწერმა ქვეყნებმა, რომლებიც რუსეთის სერიოზული პარტნიორებიც არიან, თავისი შეშფოთება მოსკოვს არა მხოლოდ კომუნიკეს შედგენითა და განცხადებებით, არამედ სხვადასხვა დიპლომატიური საშუალებებითაც აცნობეს.

ახლა, სავარაუდოდ, კომუნიკესთან დაკავშირებით კრემლის ქონგურების მიღმა მიმდინარეობს გონებრივი მუშაობა, მიმდინარე პროცესების შეფასება. რუსეთის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთს შეუძლია ზოგიერთი თავისი შეცდომის აღიარება და კორექტირება. ძნელია იმის თქმა, თუ რა საკითხებში შეიტანს კორექტივებს რუსეთი.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ თავად რუსეთიც ძალიან რთულ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ თავის დროზე იგი დათანხმდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის პასპორტების დარიგებას. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მისცემს თავს უფლებას, არ დაიცვას თავისი მოქალაქეები. ჩემთვის ეს პრინციპული საკითხია, ვინაიდან სწორედ ამ საკითხის გამო რუსეთის მოქმედების თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია. იქ რომ რუსეთის მოქალაქეები არ იყვნენ, სულ სხვა სურათი გვექნებოდა.

პასპორტებს ასე უბრალოდ ვერ ჩამოართმევ და ვერ დაიბრუნებ. ამიტომ მგონია, რომ რუსეთი ყურადღებით დააკვირდება საქართველოში ვითარების განვითარებას. კიდევ უფრო ყურადღებით დააკვირდება რუსეთი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ვინაიდან მოსკოვისათვის უშიშროების საბჭოზე მსჯელობის შემდეგ შემუშავებული კომუნიკე სერიოზული სიგნალია.

ჩემი აზრით, რუსეთმა ახლა უნდა განსაზღვროს, რას აკეთებს. ახლა კავკასიაში სერიოზული საჭადრაკო პარტია თამაშდება. ასე რომ, მოსკოვს ბევრ რამეზე მართებს დაფიქრება.

— თავის დროზე, როცა რუსეთმა ცვლილებები შეიტანა „კანონში რუსეთის მოქალაქეობის შესახებ“, რომლის ძალითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობას რუსული პასპორტების მიღების საშუალება მიეცა, მაშინ ამ კანონზე მწვავე რეაქცია ჰქონდა ევროპის საბჭოს, ევროკავშირს, თუ არ ვცდები, ეს თემა არც გაეროს დაუტოვებია ურეაგირებოდ, მაგრამ მაშინ რუსეთმა საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი რჩევები არ გაითვალისწინა...

— მესმის, რაზეც ამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ ახლა უკვე გვიანია ამაზე საუბარი. ახლა მთავარი ისაა, რომ დასავლეთმა მოსკოვს სერიოზული სიგნალი გაუგზავნა და ახლა რუსეთმა იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული დეკემბერში საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით.

სოხუმთან და ცხინვალთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, მოსკოვს ყველა ფაქტორის, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების აზრის გათვალისწინება მოუწევს.

კობა ბენდელიანი

„იძულებულნი ვართ ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო მექანიზმი გამოვიყენოთ. შევისწავლით კონფლიქტის რეგიონებში მომუშავე კომპანიებსა და მათ ხელმძღვანელთა საქმეებს, მათ მონაცემებს ინტერპოლს გადავცემთ და მათ გადაადგილებასთან დაკავშირებით პროგლემები შეექმნებათ. ასევე ჩვენ მეგობარ სახელმწიფოებს მათი ფინანსური ანგარიშების გაყინვასაც ვთხოვთ“

◎ მოწოდება

თემურ მჟავია: ქართველი ხალხი ქუჩაში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად უნდა გამოვიდეს

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობას კონსოლიდაციისკენ მოუწოდებს. როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ განაცხადა, ქართულმა საზოგადოებამ მსოფლიოს უნდა დაანახოს, რომ საკუთარ ტერიტორიებს არაფრის ფასად არ დათმობს.

„დროა ქართველი ხალხი ქუჩაში სოციალური მოთხოვნების ნაცვლად ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამოვიდეს. დღეს ყველა ჩვენგანის ვალია, საერთაშორისო საზოგადოებას მივაწვდინოთ კონსოლიდირებული ხმა რუსეთის აგრესიული კამპანიის შესაჩერებლად. შესაბამის უწყებებს გავაცნოგ ამ ინიციატივას და ვფიქრობ, უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს ორგანიზება მასშტაბური აქციის მოსამზდებლად“, – განაცხადა თემურ მჟავიამ.

მისივე თქმით, შესაძლოა რუსეთის ფედერაციამ უახლოეს 10 დღეში საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კამპანია წამოიწყოს, ვინაიდან „აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედებების ესკალაციისთვის პუტინის საპრეზიდენტო ვადა მაქსიმალურად იძნება გამოყენებული“.

◎ ექსპერტი

პაატა ზაქარეიშვილი: აფხაზეთში სამომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში კონფლიქტის შესაჩერებლად საერთაშორისო ბერკეტი არ არსებობს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში სამომარი მოქმედებების შესაჩერებლად რაიმე საერთაშორისო ბერკეტი არ არსებობს, – ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა განუცხადა.

„სამომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია სწრაფი რეაგირება მოახდინოს, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ეს რუსეთის სამშვიდოგო ძალებია. ყველამ იცის, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ არ არსებობს არანაირი ოპერატიული ძალა, რომელიც რუს სამშვიდოგო ძალებს ჩაენაცვლება. ერთადერთი, ეს არის გაერო, თუმცა გაერო ბიუროკრატიული ორგანიზაციაა და მას შესაბამისი რეაგირების მოსახდენად როგორც მინიმუმ, ორი კვირა დასჭირდება, თუმცა მე ვფიქრობ, რომ სიტუაცია სამომარი მოქმედებების დაწყებამდე არ მივა. ეს არის ძალის დემონსტრირება რუსეთის მხრიდან“, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონაში სიტუაცია გამწვავებულია და ამის პარალელურად რუსეთის მხრიდან მკვეთრი განცხადებები კეთდება, სამომარი მოქმედებების განახლება ნაკლებად სავარაუდოა.

◎ გაფრთხილება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედ უცხოელ ბიზნესმენებზე მასალების მოძიება დაიწყო

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მოქმედ ყველა უცხოელ ბიზნესმენს პრობლემები შეექმნება, რადგან ისინი არალეგალურ ბიზნესში არიან ჩაბმული, – ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა.

„იძულებულნი ვართ ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო მექანიზმი გამოვიყენოთ. შევისწავლით კონფლიქტის რეგიონებში მომუშავე კომპანიებსა და მათ ხელმძღვანელთა საქმეებს, მათ მონაცემებს ინტერპოლს გადავცემთ და მათ გადაადგილებასთან დაკავშირებით პროგლემები შეექმნებათ. ასევე ჩვენ მეგობარ სახელმწიფოებს მათი ფინანსური ანგარიშების გაყინვასაც ვთხოვთ“, – განაცხადა იაკობაშვილმა.

მისივე თქმით, ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მომუშავე ბიზნესმენებთან დაკავშირებით მასალების მოძიება უკვე მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, 26 აპრილს თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ინტერპოლის მეშვეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე რუს ბიზნესმენებზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას აპირებს. მისი თქმით, საქართველოს მხრიდან ახალი ზომების მიღება შეეხება იმ კომპანიების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობენ.

◎ თემის გაგრძელება

კაი ძვირი ღირებულა

სულ ახლახან გამოქვეყნებულ ერთ წერილში შეშფოთებით ვიკითხეთ – ამ ჩვენს უპილოტო აპარატებს (მზვერავ თვითმფრინავებს), აფხაზეთში პანტა-პუნტით რომ ცვივიან, რა, პანტის ფასი აქვთო?

პანტის ფასი კი არა, იმათი ღირებულება თურმე 8 მილიონი დოლარიდან 12 მილიონამდე ფარგლებში მერყეობს.

ბოლოს ჩამოგდებული მფრინავი აპარატი, „სახელად Hermes 450, ისრაელის კომპანიამ Elbit Systems-მა 2006 წელს გამოუშვა და დაზვერვისა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირების ფუნქციებს ასრულებს (ასრულებდა...ძ; ავტონომიურად მუშაობს, ორი სანავიგაციო კომპიუტერისა და კავშირის ორი კომპლექტის მქონეა; დედამიწაზე გამოსახულების გადაცემის უნარი შესწევს რეალური დროის რეჟიმში; წონით 450 კგ-ია, სიგრძით – 6,10 მ; მოასწრო კიდევაც, ცხონებულმა, გამანადგურებელ „მიგ-29“-ის გამოსახულების გადმოცემა, მაგრამ ეგ შარიანი რუსები რომ არ გვიჯერებენ?..

ლუკა გორგაძე

◎ ინფორმაცია

რუსები აფხაზეთიდან გასვლას არ აპირებენ

რუსეთი აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას არ აპირებს.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე კოლმაკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა..

– რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში ახორციელებენ მისიას დსთ-ს მანდატით. ამ მისიის შესრულებას ჩვენ გავაგრძელებთ, რა მოწოდებებიც არ უნდა იყოს ნატოს შტაბბინიდან, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მან ზედმეტად ანგაჟირებული უწოდა საქართველოს პოზიციას რუსი სამშვიდობოების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ყოფნის თაობაზე. – ჩვენ სამხედროები ვართ. რა გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული, იმას შევასრულებთ, – დასძინა კოლმაკოვმა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იმედი გამოთქვა, რომ საღი აზრი, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებში, გაიმარჯვებს.

რუსეთი პროვოკაციებში გვადანაშაულებს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საქართველო რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ პროვოკაციებში დაადანაშაულა და მკაცრი და ადეკვატური პასუხის პირობა დადო.

– ნებისმიერ მცდელობას საქართველოს მხრიდან, გამოიყენოს ძალა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონფლიქტების მოსაგვარებლად, ასევე, რუსი სამშვიდობოებისა და მოქალაქეების მიმართ, მკაცრი და ადეკვატური პასუხი მოჰყვება, - აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში, რომელიც „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა.

ინტერპრესნიუსი

◎ პოზიცია

დავით ბაქრაძე: სანამ უკანონო გამტარი პუნქტების ლეგალიზება არ მოხდება, მსო-ში გასაწევრებლად რუსეთს მხარს არ დავუჭერთ

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით ჟენევაში ქართულ-რუსული მოლაპარაკებები გაიმართება.

როგორც მოლაპარაკებაზე ქართული მხარის ხელმძღვანელი, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე თამარ კოვზირიძე აცხადებს, ქართული მხარე პიროგებს არ ცვლის, ის ისევ მოითხოვს რუსეთისგან ქართული და რუსული მხარის მიერ როკის გვირაგისა და ფსოუს საზღვრის ერთოგლივად გაკონტროლებას.

„როდესაც რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებში ყველა უკანონო სტრუქტურის ლეგალიზებას ახდენს, ვფიქრობ, ქართულმა მხარემ ეს საკითხი თავიდან უნდა შეისწავლოს. სანამ არ მოხდება უკანონო გამტარი პუნქტების ლეგალიზება, მანამდე საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრებლად რუსეთს მხარს არ დაუჭერს“, – აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბაქრაძე.

სავარაუდოდ, ჟენევაში გამართული მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა, თუ როგორია ქართული და რუსული მხარის პოზიცია და შეიცვალა თუ არა ის.

რუსეთმა საქართველოსა და საუდის არაგეთის გარდა მოლაპარაკება დაამთავრა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოსთან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენჯერმე მიმართა რუსეთს ამ საკითხების შესახებ მოლაპარაკების დაწყების მზადყოფნასთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებასა და ამ საკითხს ერთმანეთს არ უკავშირებს და მიიჩნევს, რომ ამ მოლაპარაკებებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებმაც აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ 1999 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, მსო-ში ახალი წევრის მისაღებად კი მასში შემავალი ყველა ქვეყნის თანხმობაა საჭირო, აქედან გამომდინარე რუსეთის გაწევრებისთვის საქართველოს ხმა ძალიან მნიშვნელოვანია.

მასალები მოამზადა ჯი-ეიჩ-ენმა

№ 79. ოთხშაბათი. 30 აპრილი. 2008 წელი.

უცხოური პრესა

„ნატოს ქვეყნები ფიქრობენ, რომ კონფლიქტის ზონიდან გამოყვანილი უნდა იქნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები. სადღეისოდ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ შეცვლიან ნატოს ჯარები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ „ცისფერი ჩაფხუტების“ გამოყვანა აუცილებელია“

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი აფხაზეთიდან თავის საქშვიდობოებს არ გაიყვანს

რუსეთს არა აქვს განზრახული, გამოიყვანოს თავისი სამშვიდობოები აფხაზეთიდან, განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ კოლმაკოვმა.

„რუსეთის სამშვიდობოები აფხაზეთში ეწევიან სამსახურს დსთ-ს მანდატით, და ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მისიას, როგორი მოწოდებანიც არ უნდა გაისმოდეს ნატოს შტაბბინიდან“, – განაცხადა გენერალ-პოლკოვნიკმა.

„ჩვენ სამხედროები ვართ, როგორი გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული, მათ შეასრულებთ“, – დაუმატა მან.

მინისტრის პირველმა მოადგილემ საქართველოს პოზიციას რუსეთის სამშვიდობოების ყოფნასთან დაკავშირებით საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში უწოდა „ზედმეტად ანგაჟირებული“.

„ურთიერთობა საქართველოსთან რთულია და ისინი გვაყენებენ ტკივილს დღეისათვის. ამ ქვეყნის ოფიციალურ პირებს არ შეუძლიათ მონახონ თავისი პრობლემების გადაწყვეტის სხვა გზები და საკითხებს აყენებენ ზედმეტად ანგაჟირებულად ჩვენი სამშვიდობოების აფხაზეთში ყოფნასთან დაკავშირებით“, – თქვა კოლმაკოვმა.

„იმათ თავიანთი პრობლემაც გევრი აქვთ, ეს კი მათი ნაჩვევი ხერხია – გამოძებნონ გარეშე მტერი. ვფიქრობთ, ჯანსაღი აზრი, მათ შორის საქართველოს ხელმძღვანელობაშიც, გაიმარჯვებს“, – დაუმატა მან.

რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტმა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონა უნდა დატოვოს, მიიჩნიათ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

„ნატოს ქვეყნები ფიქრობენ, რომ კონფლიქტის ზონიდან გამოყვანილი უნდა იქნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები. სადღეისოდ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ შეცვლიან ნატოს ჯარები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ „ცისფერი ჩაფხუტების“ გამოყვანა აუცილებელია“, – განაცხადა აპატურიმ ძართულ ტელეკომპანიებთან ინტერვიუში, ბრიუსელში რომ შედგა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 6 მარტს განაცხადა, რომ რუსეთმა გააუქმა 1996 წელს აფხაზეთთან დაკავშირებით სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო და სატრანსპორტო სანქციები და შესთავაზა დსთ-ს სხვა ქვეყნებს მიბაძონ მათ მაგალითს ულიარეგელი რესპუბლიკების მიმართ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 16 აპრილს დაავალა მთავრობას შეიმუშაოს ღონისძიებანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის საგნობრივი დახმარების გაწევის შესახებ და ითანამშრომლონ ულიარეგელი რესპუბლიკების ფაქტობრივი ხელისუფლების ორგანოებთან.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთმა, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში, განაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. საქართველომ 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში შეიყვანა ჯარები, მაგრამ წააწყდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას. სამხედრო კონფლიქტი, რომელიც საქართველოს აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვად დაუჯდა, დასრულდა 1993 წლის 30 აგვისტოს. მას შემდეგ, აფხაზეთი ცდილობს დამოუკიდებლობის აღიარებას. თბილისი განიხილავს აფხაზეთს, როგორც ქვეყნის ნაწილს და სთავაზობს მას ვრცელ ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში. კონფლიქტის ზონაში მშვიდობას ინარჩუნებენ კოლექტიური ძალები. მშვიდობის შესანარჩუნებლად. მოლაპარაკება კონფლიქტის დარეგულირების საკითხში შეწყდა 2006 წელს.

НОВОСТИ

საქართველო რუსეთის ინტერპოლით ამენებს

საქართველოს მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა შაბათს ტელეარხ „მზის“ ეთერში აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია გამოაცხადოს ინტერპოლის მეშვეობით საერთაშორისო ძებნა რუსი ბიზნესმენებისა, რომლებიც აფხაზეთში მუშაობენ.

აფხაზეთის ლიდერმა სერგეი გაღაფშმა „ნეზავისიმაია გაზეტას“ აცნობა, რომ პასუხად რუსეთს შეუძლია გამოაცხადოს საერთაშორისო ძებნა ქართველი ბიზნესმენებისა. დღევანდელი კრიზისი გარდაუვალია იმის გამო, რომ მოსკოვს არ გააჩნია ზუსტი სტრატეგია ულიარეგელი რესპუბლიკების მიმართ. გასული კვირის ბოლოს მოსკოვმა პირველად აშკარად გვაცნობა, თუ რა ზომამდე შეიძლება მივიდეს იგი თავისი ზრუნვით რუსეთის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ულიარეგელ რესპუბლიკებში ცხოვრობენ. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში ვალერი კენიაიკინი ოფიციალურად აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ თბილისი დაიწყებს სამხედრო ოპერაციას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, რუსეთი გამოიყენებს „სამხედრო მეთოდებს“ თავისი თანამემამულეების დასაცავად. ამრიგად, თუ დღემდე მოსკოვი მხოლოდ აფრთხილებდა თბილისს (58-ე არმიის მანევრები როკის გვირაბთან უცნაურად ემთხვეოდა ქართული სპეციალური დანიშნულების შენაერთების კონცენტრაციას სამხრეთ ოსეთის საზღვართან), ამჟამად ყველა წერტილი „შ“-ზე საჯაროდ არის გამოცხადებული და ერთმნიშვნელოვნად. კენიაიკინმა, რასაკვირველია, დაგვარწმუნა, რომ რუსეთი გაიკეთებს ყველაფერს, რომ არ დაუშვას სამხედრო კონფლიქტი. მაგრამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფლობს მონაცემებს, რომ უკანასკნელ დღეებში დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის საზღვართან ხდება „სამხედრო შენაერთების თავმოყრა და პერედისლოკაცია“, არმიის ზოგიერთი შენაერთი საქართველოს არაერთგზის მოჰყავდა გაზრდილ სამხედრო მზადყოფნის მდგომარეობაში. თბილისში ეს გამოსვლა შეაფასეს, როგორც მუქარა რუსეთის მხრიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის მხარე ეწევა „ინფორმაციულ უზრუნველყოფას“ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო აგრესიისა. განცხადებაში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ რუსეთის ფედერაციამ დაკარგა ყოველგვარი სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური უფლება, იყოს სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია კონფლიქტის მოწესრიგება“. ამასთან დაკავშირებით მისი „მშვიდობისმყოფელთა ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე სარისკოა“.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი დაძაბულობის ახალი ტალღა, რასაც თან ახლავს უპრეცედენტო დიპლომატიური ზეწოლა რუსეთზე დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, გამოიწვია მოსკოვის გადაწყვეტილებამ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ოფიციალურ ურთიერთობათა დამყარებასთან დაკავშირებით. „ტაივანის ვარიანტი“, როგორც მას ექსპერტებმა უწოდეს, ვარაუდობს ამ რესპუბლიკების დე ფაქტო ალიარებას და არა დე იურეს. ამავე დროს კოსოვოს აღიარების შემდეგ გევრი ელოდა, რომ მოსკოვი გადადგამდა ანალოგიურ ნაბიჯს ყოფილი საქართველოს ავტონომიების მიმართ. მაგრამ კრემლმა ეს ვერ გაბედა და შეეცადა კიდეც საქართველოსათვის „მისაწოდებელი აბების დატკბობას“, რათა შეემსუბუქებინა სავიზო რეჟიმი და დაებრუნებინა რუსეთის ბაზრებზე ქართული პროდუქცია. ამით, ამ სტრატეგიის არქიტექტორთა აზრით, რუსეთმა ერთგვარად მოახდინა ზრუნვის ჩვენება რეგიონის მცხოვრებლების საქართველოს ტერიტორიიდან გამოყვანის შესახებ.

„თუ რუსეთი უმალვე გადაწყვეტს, აღიაროს აფხაზეთი კოსოვოს მაგალითისამებრ, თამაში სრულიად სხვაგვარი იქნებოდა, – განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ იული კვიციინსკიმ. – ცხადი იყო, რომ სანახევრო ნაბიჯები მისცემდა საფუძველს წარმოგვედგინა რუსეთი აგრესორად და მოჰყვებოდა ამას კოლოსალური წინააღმდეგობა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან“.

ამავე დროს აფხაზეთთან დაკავშირებით პუტინის დავალება მიდის თავისი წესით და რიგით: მოსკოვში ჩამოვიდნენ აფხაზეთის ყველა ძალაქისა და რაიონის ადმინისტრაციების ხელმძღვანელები. ხუთშაბათს მათ დადეს ხელშეკრულება მოსკოვის პრეფექტურებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. პარასკევს კი გაიმართა აფხაზი სტუმრებისათვის შეხვედრა იური ლუჟკოვთან და რუსეთის დედაქალაქის სხვა ხელმძღვანელებთან, რომელსაც ესწრებოდა აფხაზეთის პრეზიდენტი. „ამ შეხვედრაზე განიხილებოდა შემდგომი მუშაობის გეგმები, – განაცხადა სერგეი გაღაფშმა. – ყველაფერი შესრულდება ისე, როგორც მოსკოვმა გადაწყვიტა. მოსკოვს განზრახული აქვს ააშენოს სოხუმში მოსკოვის სახლი, ბიჭვინთაში – დიდი სანატორიუმი, გვეხმარება ჩვენ ჰუმანიტარულად, მიიღებს მონაწილეობას კულტურულ ღონისძიებებში: გამოფენებში, კონცერტებში. ამჟამად ვთანხმდებით იმაზე, რომ მოსკოველი მოსწავლეები დაისვენებენ ჩვენთან ზაფხულში. ჩვენი ჩინოვნიკები კი გადმოიღებენ მოსკოვის პრეფექტურების მუშაობის გამოცდილებებს“.

აფხაზეთის პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა საქართველოს განზრახვას იმის შესახებ, რომ ინტერპოლის მეშვეობით, გამოაცხადებს რუსი ბიზნესმენების საერთაშორისო ძებნას, იმ ბიზნესმენებისა, რომლებიც აფხაზეთში მუშაობენ. შეგახსენებთ, რომ ეს იდეა წამოაყენა საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა, რომელიც გვაფრთხილებდა, რომ ეს ღონისძიება შეეხებოდა კომპანიების ხელმძღვანელებსა და მათ თანამშრომლებს – ერთი სიტყვით, არავის არ შეეძლება საზღვარგარეთ წასვლა.

ჩვენთან მუშაობს სულ ერთიორი რუსი ბიზნესმენი, – შენიშნა გაღაფშმა. – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დავალებით აფხაზეთში იმუშავებენ სახელმწიფო სტრუქტურები. ისინი რა, სახელმწიფო ჩინოვნიკებს გამოუცხადებენ საერთაშორისო ძებნას? ვფიქრობ, ეს არარეალურია: როგორც კი ისინი ამას გააკეთებენ, რუსეთი გამოაცხადებს ძებნას ყველა ქართველ ბიზნესმენზე.

მარინა პერევოზკინა

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

უცხოური პრესა

ყრილობამ მხარი დაუჭირა მოსკოვის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას აფხაზეთთან ოფიციალური კავშირების დამყარების შესახებ და მოუწოდა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, დააჩქარონ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ კავკასიის ხალხები გააერთიანა

სოხუმში იმედი აქვთ, რომ კონფლიქტის დროს დანგრეული საზღვაო ნავსადგური აღდგება მოსკოვის დახმარებით.

„თუ საქართველოს მხარე შეეცდება, ძალით დაამყაროს კონტროლი აფხაზეთზე, მოხალისეები კვლავ მოვლენ მოძმე ხალხის დასახმარად“, ამის შესახებ ნათქვამია მოხალისე ვეტერანების საბანგებო ყრილობის შემავჯამებელ რეზოლუციაში, რომელიც გასულ შაბათს ჩერკესკში გაიმართა. ჩრდილოკავკასიური მოხალისე ბატალიონების ყოფილი მეთაურების საგანგებო ყრილობა უკავშირდება აფხაზეთის გარშემო შექმნილ ვითარებას და თბილისის მუქარას, გააძევოს თავისი ქვეყნიდან რუსი სამშვიდოგოები.

ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიქმნას აფხაზეთის ომის ვეტერანთა ერთიანი სტრუქტურები, რომლებშიც შევლენ აფხაზეთის, ადიგეის, კარაჩაევო-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის წარმომადგენლები. ორგანიზაციაში შესვლის სურვილი გამოთქვეს დონისა და თერგ-გრებენსკის კაზაკების წარმომადგენლებმაც. რომლებიც მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის ომში. ორგანიზაციის შექმნის იდეა, მისი ინიციატორის ზაურ ბოროვის სიტყვებით, მოიწონეს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ და ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტარებმა. ყრილობაზე გამოქვეყნდა აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბასა და მოქმედი პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის მისალმებანი. თავის წერილში ბაღაფში ჰპირდება მათ, რომ მიიღებს გადაწყვეტილებას დაღუპულ მოხალისეთა ოჯახებისათვის შემწეობათა გაცემის შესახებ.

„არძინბამ მაღალი შეფასება მისცა მოხალისეთა წვლილს ჩრდილოეთ კავკასიიდან იმ გამარჯვებაში, მათ რომ მოიპოვეს ქართულ ჯარებზე, – განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ექსპრეზიდენტმა მუსა შანიბოვმა, რომელიც დაიჭრა აფხაზეთის ომში. – მან განაცხადა: თუ აფხაზეთი არ განადგურდა, ამაში კონფედერაციის დამსახურებაა. „ორგანიზებულ“ მოხალისეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 5-7 ათასს, მაგრამ მათ გარდა იყვნენ ბიჭები, რომლებიც დამოუკიდებლად მოდიოდნენ ომში. ამ ფორმირებებს ხელმძღვანელობდა შამილ ბასაევი, მაშინ იგი მეგობროობდა რუსეთის არმიის გენერალურ შტაბთან და სპეცსამსახურებთან“. აფხაზეთში თბილისის ჯარებს ებრძოდა 23 ხალხის წარმომადგენელი. მოხალისეები გაერთიანებული იყვნენ რებულარულ ბატალიონებში ეროვნების ნიშნით. მოვლენათა მონაწილეების აზრით, ყველაზე უკეთ თავი გამოიჩინეს ჩეჩნეთისა და ყაბარდოს ბატალიონებმა. შანიბოვის მონაცემებით, ჩეჩნელთაგან ომში დაიღუპა 170-ზე მეტი კაცი, ყაბარდოელთაგან – 68. სულ კი დაიღუპა 300-400 ადამიანი. 1996 წლიდან, შანიბოვის სიტყვებით, კონფედერაციამ შეწყვიტა მუშაობა. თუმცა, ფორმალურად ორგანიზაცია არ დაშლილა და იურიდიულად არსებობს ამჯერადაც. ორგანიზაციას ურჩევნია, რომ არავინ ჩაერიოს რუსეთის საშინაო პოლიტიკაში. ამ პოლიტიკამ მაგალითად ვერაფრით გამოიჩინა თავი ჩეჩნეთის ომის დროს. ყრილობის მონაწილეებმა ჩერკესკში წესდების განსაკუთრებულ პუნქტად შეიტანეს რუსეთის რეგიონების საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობის პუნქტი. ყაბარდოს ბატალიონის ყოფილი მეთაურის იბრაჰიმ იაგანოვის სიტყვებით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკურ თამაშებს გაერთიანებების რიგებში. ასე რომ, ახალი ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს საგარეო და არა საშინაო პოლიტიკას.

ყრილობამ აგრეთვე გამოთქვა მზადყოფნა, განამტკიცოს „რუსეთის სამხრეთით მდებარე აფხაზეთთან „კულტურული და ეკონომიკური კავშირები“. აგრეთვე დაეხმაროს ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას ტერორიზმის, რელიგიური, პოლიტიკური და ნაციონალური ექსტრემიზმის აღმოფხვრაში, კონფლიქტების მოგვარებაში ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე.

ყრილობის ერთ-ერთი მონაწილის ანზორ გლოოვის სიტყვებით, გათიშული ორგანიზაციების გაერთიანების აუცილებლობა დიდი ხანია მომწიფდა. „მაგრამ ბიძგად საკითხების ფორმირებაში გახდა ჩრდილოეთ კავკასიისა და აფხაზეთის ვეტერანთა კონსოლიდაციის საკითხი, რაც გამოიწვია საქართველოს უკანასკნელმა მოქმედებებმა კონფლიქტის ზონაში. თუ საქართველოს ჰყავს მეგობრები დასავლეთში, აფხაზეთს ჰყავს მეგობრები და დადგა დრო მათი გაერთიანებისა და ერთიანი საკოორდინაციო ცენტრის შექმნისა“, – განაცხადა ყოფილმა საველე მეთაურმა თავის გამოსვლაში.

ყრილობამ მხარი დაუჭირა მოსკოვის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას აფხაზეთთან ოფიციალური კავშირების დამყარების შესახებ და მოუწოდა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, დააჩქარონ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი.

მარინა პერევოზკინა

НЕЗАВИСИМАЯ

გამოვესარჩლოთ საქართველოს

კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგება შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის უნდა დავიწყოთ მოქმედებანი უკვე ახლავე.

ამ თვეში ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადა ნატოს სამიტზე ეკისრა მხარდაჭერა ნატოს წევრი ქვეყნებისა, რათა უკრაინასა და საქართველოს მიეღოთ ალიანსში წევრობისათვის მოქმედების გეგმა. ეს გეგმა უკანასკნელი ნაბიჯია ნატოში შესასვლელად იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც სურთ მისი წევრობა. უკრაინამ და საქართველომ დაადასტურეს, რომ ორიენტაცია აქვთ აღებული დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებზე და ღირსნი არიან იყვნენ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრები.

სამწუხაროდ, ნატოს ზოგიერთმა ქვეყანამ წინააღმდეგობა გაუწია მათს გაწევრებას ნატოში რუსეთის მძლავრი საწინააღმდეგო მოქმედებების გამო. და ვინაიდან ნატო მოქმედებს კონსენსუსის პრინციპით, ორივე ქვეყნის განაცხადი უარყოფილი იქნა. მართალია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ ამ ქვეყნებს მიეღოთ მოქმედების გეგმა, ადმინისტრაციამ შეძლო ჩაეწერა კომუნიკეში სამიტის ვალდებულება იმის შესახებ, რომ მომავალში უკრაინა და საქართველო „გახდებიან ნატოს წევრები“ და მომზადების გეგმას ისინი მიუერთდებიან უკვე დეკემბერში. ეს იყო დიდი მიღწევა გამანადგურებელი წარუმატებლობის შემდეგ. მართალია, შესვლის მომზადების გეგმა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მაგრამ წევრობის გარანტიას იგი არ იძლევა. ასეთი გარანტია მისცა კომუნიკემ, რომელსაც ხელი მოაწერეს ნატოს ლიდერებმა.

მოსკოვმა აამოქმედა თავისი ძველი სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკურ საშუალებათა მთელი არსენალი, რათა წაართვას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მხარდაჭერა და დააშინოს ნატოს ლიდერები. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იქამდეც კი მივიდა, რომ დაემუქრა უკრაინას ბრმთვული თავდასხმით, როდესაც გამოდიოდა პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან ბუქარესტის სამიტის წინა დღეს.

მაგრამ პაწაწინა საქართველოსათვის, რომლის მოსახლეობა შეადგენს 4,6 მილიონ კაცს, წამოიჭრა უფრო სწრაფი პრობლემები. კრემლი აცხადებს, რომ საქართველოს გაწევრება ნატოში მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია და იმისათვის, რომ არ დაუშვას ეს, მზადაა წავიდეს ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე. მოსკოვი იყენებს იურიდიულ და დიპლომატიურ ნაბიჯებს, რომლებსაც შეუძლიათ მიგვიყვანონ საქართველოს ტერიტორიის ორი სეპარატისტული რესპუბლიკის აღიარებამდე.

ეს მოქმედებანი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა და მიზნად ისახავს, ჩაშალოს ვრცელი დიპლომატიური წინადადებანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხრიდან. ეს წინადადებანი მოიცავს ვრცელ დიპლომატიურ წარმომადგენლობის გარანტიას, აფხაზეთისათვის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას და ვეტოს უფლებას ქვეყნის კანონებზე, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას და ავტონომიის საერთაშორისო გარანტიებს.

რუსეთის მოქმედებებს შეიძლება წინ აღუდგეს ვაშინგტონის დროული, ენერგიული და აქტიური დიპლომატიური პასუხი. ეს პრობლემა თავისით არ გადაწყდება და ფსონად დადებულია ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი ინტერესები.

საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მნიშვნელოვანი მეგობარია. ქვეყნის ახალგაზრდა ხელისუფლების უდიდესი ნაწილი განათლებას ღებულობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი შეეცადნენ, რაც შეიძლება ადრე შეეყვანათ საქართველო დასავლეთის ინსტიტუტებში. საქართველომ მნიშვნელოვანი კონტინგენტი გაგზავნა ერაყსა და ავღანეთში. ქვეყნის ტერიტორიაზე გადის გაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დიდი მონაკვეთი, რომლითაც ნავთობი კასპიის ზღვიდან მიედინება დასავლეთის ქვეყნების ბაზრისაკენ

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიაღწია მნიშვნელოვან დემოკრატიულ და ეკონომიკურ წარმატებებს, მიუხედავად რუსეთის მხრიდან მძლავრი ზეწოლისა. მისი ინტრიგები მოიცავს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას ზამთრის სიცივეების დროს, სამხედრო შეჭრას საქართველოს ტერიტორიაზე და დაშინებას, სავაჭრო ბლოკადასა და დაზვერვის მასშტაბურ დამანგრეველ ოპერაციებს. მარტო ამ ერთ კვირაში რუსეთის მიგმა ჩამოაგდო საქართველოს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, როდესაც იგი აფხაზეთის თავზე მიფრინავდა. რუსეთი აშკარად ცდილობს გამოიწვიოს ქართველები საბანგებო რეაქციაზე, რაც დიდად შელახავდა ამ ქვეყნის რეპუტაციას დასავლეთის თვალში. თბილისის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ჯერჯერობით ირჩევს თავშეკავებულობისა და მოლაპარაკებათა გზას, რაზეც მეტყველებს სააკაშვილის დიდსულოვანი დიპლომატიური ინიციატივები. მაგრამ საქართველოს არ შეუძლია მოიგოს ეს დაპირისპირება დამოუკიდებლად. სამშვიდობო მოწესრიგებისათვის საჭიროა ამერიკული ლიდერობა, აგრეთვე ნატოს დანარჩენი ქვეყნების მონაწილეობა ამ საქმეში. იმ ქვეყნებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შეძლებდნენ მოსკოვის გულის მოგებას, როცა უარი უთხრეს საქართველოს მომზადების გეგმის მიღებაზე, უკვე მიიღეს მკაცრი გაკვეთილი. სამიტის მუშაობის დამთავრებისთანავე რუსეთის მთავრობამ გადადგა ახალი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოსაგან ორი თვითგამოცხადებული რეგიონის შემდგომ მოწყვეტას.

ევროპამ დროა უარი თქვას თავისი ლოდინის პოზიციაზე. ევროპის ქვეყნებმა უნდა დაიწყონ მოსკოვთან ურთიერთმოქმედება და აუკარად აცნობონ მას, რომ მისი მოქმედება საქართველოში მიუღებელია, ისინი არ შეესაბამებიან ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ვარაუდს, როდესაც დაბლოკეს საქართველოს მიერთება მაპთან.

კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგება შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის უნდა დავიწყოთ მოქმედება უკვე ამჟამად. ვაშინგტონი უნდა ჩაუდგეს სათავეში მძლავრ საერთაშორისო დიპლომატიურ კონტრშეტევას, რომლის მიზანია შეაჩეროს რუსეთის მცდელობა, მოახდინოს საქართველოსი და მთელი რეგიონის დესტაბილიზაცია. ეს პროცესი უნდა დაიწყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოლაპარაკებათა და სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაციით, ვინაიდან დღემდე ამ სივრცეში დომინირებს მოსკოვი. ტრანსატლანტიკურმა თანამეგობრობამ უნდა გაიგოს, რომ რუსეთის მოქმედებანი მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, ისინი მიმართულია თვით ნატოს ორგანიზაციის წინააღმდეგაც, რომლის მშვიდობიანი გაფართოებაც რუსეთისათვის მიუღებელია. მოსკოვს იმედი აქვს, რომ მოახდენს კონფრონტაციულ რეაქციას და ამრიგად გააჭიანურებს ამ ტერიტორიულ კრიზისს, აგრეთვე კიდევ უფრო გაურთულებს საქართველოს შეუერთდეს ნატოს.

ჯოზეფ გაიბენი,
რიჩარდ ლუგარი

The Washington Times

დღევანდელობა

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა ამ პროცედურის გავლის შემდეგ, კონკრეტულად, ინდოეთიდან შემოტანილი კამეჩის ხორცი აკმაყოფილებს ვეტერინარულ-სანიტარიულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აქ არ მოხვდებოდა

რას ვჭამთ?

საქართველოს მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით საკმაო პოტენციალი აქვს, მაგრამ ქვეყნის შიდა ბაზრის 60-65 პროცენტზე მეტი მაინც იმპორტულ ხორცს უკავია. თანაც ამბობენ, რომ არავინ ამოწმებს, თუ რა ხარისხის ხორცი შემოაქვთ ფირმებს, რომლებიც ძირითადად ამ ბიზნესს ეწევიან.

ერთი საყურადღებო დეტალიც: ძირითადად საუბრობენ ინდოეთიდან შემოტანილი კამეჩის ხორცზე. აგრარულ ბაზრებში ძირითადად ადგილობრივი წარმოების ხორცი იყიდება, მათი მფლობელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი ხორცი და ხორცის პროდუქტები შეიძლება იმპორტულს ჩაენაცვლოს და ბაზრიდან განდევნოს იგი, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდებაო.

უხარისხო იმპორტული კვების პროდუქტებით დაშინებულ ჩვენს მოსახლეობას კიდევ ცრუ განგაში სჭირდება?!

უსაფრთხოა თუ არა ინდოეთიდან შემოტანილი კამეჩის ხორცი?

არასამთავრობო ორგანიზაცია „XXI საუკუნის“ კოორდინატორის შალვა მელქაძის ინფორმაციით ჩვენს ქვეყანაში დაბალხარისხიანი, მაგრამ იაფი ინდური ხორცი შემოდის და არა ევროპული ხარისხისა. გერმანული 1 კგ. ხორცი, საშუალოდ, 15 ლარი ღირს, ფრანგული კი – 23 ლარი, აქედან გამომდინარე, ხორცპროდუქტები ძვირი ელირება და რეალიზაცია გაჭირდება, ხოლო ხორცპროდუქტები, რაც საქართველოში იმპორტით შემოდის, ძირითადად სასადილოებში სწრაფი კვების ობიექტებსა და ქუჩებშიც კი იყიდება.

ერთადერთი სახელმწიფო სამსახური, რომელსაც კვების პროდუქტების კონტროლი და ხარისხის დადგენა უნდა ევალებოდეს, „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურია“, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, მას სწორედ ის ფუნქცია ჩამოართვეს (ამბობენ, რომ დროებითიძ, რისთვისაც ის შეიქმნა, და მხოლოდ მონიტორინგის პროგრამის შესრულება დაავალეს. რამდენჯერ დავწერეთ ამ კანონის უარყოფით მხარეზე, მაგრამ... კვლავ არავინ ამოწმებს ადგილობრივ საწარმოებში სანიტარიულ მდგომარეობას, არ იკრძალება გარევაჭრობა, სადაც ღია ცისქვეშ, მზესა და წვიმაში, ქარში, მანქანების სავალ ადგილებზე ყიდიან როგორც ხორცსა და ხორცპროდუქტებს, ისე თევზსა და თევზის პროდუქტებს, დაკლულ ქათამს, შინ დამზადებულ მზა კერძებს და სხვა. ამბობენ, ეს ყველაფერი არჩევნების გამო, არ უნდათ რომ არჩევნების წინ მოვაჭრეთა უკმაყოფილება გამოიწვიონო, მაგრამ მოსახლეობის ჯანმრთელობა რომ ილახება, ეს არაფერია?

თუმცა ახლა ამ საკითხზე ლამის ათასმეერთე საუბარს თავი დავანებოთ და ის ვიკითხოთ, არის თუ არა ინდური კამეჩის ხორცი ჯანმრთელობისთვის უვნებელი? ასეთი ხორცი საქართველოს ბაზარზე უკვე რამდენიმე წელია გამოჩნდა, რამაც თავის დროზე საზოგადოების ერთი ნაწილის შეშფოთებაც გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, კამეჩის ხორცი არა მარტო ინდოეთიდან, ახალი ზელანდიიდან და ავსტრალიიდანაც შემოდის და, რაც მთავარია, იგი უხარისხოა.

ამ საკითხებზე სასაუბროდ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში მივედი და ამ სამსახურის უფროსს ლევან ორკოშნელს ვესაუბრე. აი, რა თქვა მან:

– საქართველოში გაყინული, დარბილებული კამეჩის ხორცი ინდოეთიდან რამდენიმე წელია შემოდის. იმპორტი-ამის შემდეგ შეიჩეჩვიან ის საწარმოები, რომლებიც ყველა დადგენილ მოთხოვნას აკმაყოფილებენ. შემდგომ ეტაპზე ყველა პარტია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის, გადის ჩვენგან მივლინებული ვეტერინარი ინსპექტორის კონტროლს. საერთაშორისო ვეტერინარულ სერტიფიკატზე, რომელიც ასეთ პარტიას თან უნდა ახლდეს, აუცილებლად მივლინებული ინსპექტორი სვამს ბეჭედს, რიცხვს და აწერს ხელს, რითაც დასტურდება, რომ ხორცი შემოწმებულია და ჯანმრთელობისთვის საიმედოა.

– ეროვნული სამსახურიდან მივლინებული სახელმწიფო ვეტერინარი. ინდოეთში მკაცრი ინსპექტორული წესების დაცვით სამი ევროპული ტიპის სერტიფიცირებული საწარმო შეირჩა, რომელთაც მაღალტექნოლოგიური მოწყობილობები და სათანადო დანადგარები აქვთ, ინსპექტირება ითვალისწინებს ცოცხალი პირუტყვის ჯანმრთელობიდან დაწყებული ვიდრე კონტეინერებში ჩატვირთვამდე და საქართველოში გამოგზავნამდე თითოეული რგოლის სახელმწიფო ვეტერინარიულ კონტროლს.

– სახელმწიფო ინსპექტირება ყოველ კონკრეტულ პარტიაზე ხორციელდება?

– რა თქმა უნდა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ გადამმუშავებელი საწარმოების ინსპექტირება ტარდება, შემდეგ, კონკრეტულად, ინდოეთიდან შემოტანილი კამეჩის ხორცი აკმაყოფილებს ვეტერინარულ-სანიტარიულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აქ არ მოხვდებოდა.

– გავრცელებული ინფორმაციით, ბატონო ლევან, ინდურის გარდა ჩვენთან ახალზელანდიური და ავსტრალიური კამეჩის გაყინული ხორციც კი შემოდის, რომელიც თითქოს მკვდარი პირუტყვისაა. რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია?

– თუ ჩემთან მოხვედით, ე.ი. მენდობით, არა? მაშინ დამიჯერეთ. საქართველოში ინდოეთის გარდა არც ერთი ქვეყნიდან კამეჩის ხორცი არ შემოდის. გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა და რას ისახავს მიზნად, ვერ გეტყვით. ჩემს ყურამდეც მოვიდა ეს ინფორმაცია. ახალზელანდიური საწარმო, რომელიც სხვადასხვა გაზეთში იყო ნახსენები, საქართველოსთვის პროდუქციის მომწოდებელი არ არის.

– ინდური ხორცი მხოლოდ გადამუშავებისთვის არის განკუთვნილი?

– გიმეორებთ. საქართველოში ინდოეთიდან აბსოლუტურად ჯანმრთელი ცხოველისაგან მილებული გაყინული, დარბილებული ხორცი შემოდის და იგი გათვალისწინებულია როგორც საწარმოო გადამუშავებისთვის, ასევე სარეალიზაციოდ.

– გატონო ლევან, ამბობენ, რომ პროდუქციის ეტიკეტზე მითითებული არ არის, რომ ის კამეჩის ხორცისგან არის დამზადებული. კანონმდებლობით არის თუ არა ეს მომხმარებელთა უფლებების დარღვევა?

– თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა, და აი, რატომ: საკლავი ცხოველების ვეტერინარული შემოწმებისა და ხორცისა და ხორცპროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის წესების თანახმად, საკლავი მსხვილფეხა პირუტყვის კატეგორიაში შედის როგორც ძროხა, ასევე კამეჩი და იაკი (დიდი ტანის მცოხნელი ცხოველი, მოშინაურებული ჰყავთ ცენტრალური აზიის ზოგი ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში, ტიბეტური ხარიძ, შესაბამისად, მათგან მილებული ხორცის კრებსითი სახელწოდებაა „საქონლის ხორცი“. ასე რომ, მეწარმეს, სრული უფლება აქვს (პირიქით – ეს მისი მოვალეობაცაა ძ, ეტიკეტზე მიუთითოს, რომ ესა თუ ის პროდუქცია საქონლის ხორცისგან არის დამზადებული. ეს საკმარისია.

მინდა გითხრათ, რომ კამეჩის ხორცის შემოტანას ვეტერინარები განგაშით არ ვხვდებით. ამაში საოცარი არაფერია. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას უძველესი დროიდან მოშენებული ჰყავს როგორც ძროხა, ასევე კამეჩი, და იყენებს როგორც მის ხორცს, ისე რძის პროდუქტებსაც. საყოველთაოდ ცნობილია კამეჩის მაწონი. ეს პროდუქტები სავაჭრო ქსელშიც გადის და არანაირი შეზღუდვა არ არის. მთავარია, ვეტერინარული თვალსაზრისით ხორცი იყოს კეთილსაიმედო. ამის გარანტიას კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმპორტორი ქვეყნების საწარმოებში ადგილზე ჩატარებული ინსპექტირება იძლევა.

– საქონლის დაკავდების მხრივ ინდოეთი ითვლება თუ არა კეთილსაიმედო ქვეყნად?

– საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიუროს ჩამონათვალში მითითებულია, რომ იქ თურძულის დაკავდება ფიქსირდება, ქვეყნებში, სადაც აღინიშნება ესა თუ ის დაკავდება, საქართველოს კანონმდებლობა ინსპექტირების ჩატარებას ითვალისწინებს. ამიტომაც ხორციელდება მკაცრი ინსპექტორული კონტროლი, როდესაც ინდოეთიდან ხორცის პროდუქტის შემოტანაზეა საუბარი. იმ ქვეყნებიდან კი, რომლებიც საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიუროს მიერ კეთილსაიმედოდ ითვლება, იმპორტზე შეზღუდვა არ არის.

ნაზი იმნაიშვილი

ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ერთადერთი ინტრიგა, რომელიც XIX ეროვნულმა ჩემპიონატმა ფინიშამდე სამი ტურით ადრე შეინარჩუნა, მეოთხე ადგილის მფლობელის გამოვლენა გახლავთ, რომელიც ინტერტოტოს უპრესტიჟო თასზე თამაშის უფლებას იძლევა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გათამაშება უეფას კალენდარში 1996 წლიდან დამკვიდრდა, თუმცა საფეხბურთო სამყაროში დღემდე გერის როლში იმყოფება, ამიტომ წლეულს ეს ტურნირი უკანასკნელად გაიმართება, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელს კი კენჭისყრამ პირველ ეტაპზე მეტოქეებად ლუქსემბურგელები არგუნა. წარმატების შემთხვევაში რუსულ კლუბთან ბრძოლა გველის, ხოლო ჩრდილოელ ვეზოგელთა ბარიერის დაძლევა მესამე რაუნდში ბუნდესლიგის ბინადართან შეგვას გვპირდება.

სიტყვა გაგვიგრძელდა და გაუწყებთ, რომ XXV ტურში მეოთხეადგილოსნების ორივე პრეტენდენტმა იმარჯვა: „ამერი“ – „მგლები“ 5:0 (გოცირიძე, ელბაქიძე, დოგროვოლსკი, ტატანაშვილი – 2ძ, „სიონი“ – „ოლიმპი“ 1:2.

დანარჩენი შედეგები: „ბათუმი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:3, „ცხინვალი“ – „ზესტაფონი“ 2:2, „ბორჯომი“ – „დილა“ 3:2, „დინამო“ – „მესხეთი“ 5:1, „მერანი“ „ლოკომოტივი“0:1.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ – 58, „ვიტ ჯორჯია“ – 54, „ზესტაფონი“ – 52 ქულა.

რაც შეეხებათ მაჩანჩალებს, უმაღლეს ლიგას უკვე გამოეთხოვნენ „მერანი“, „ბათუმი“ და „დილა“.

შემდეგ ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ზესტაფონისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა, თუმცა რომც წაგოს, ამით არა გვგონია დუშან უგრინის გუნდის საჩემპიონო ამბიციებს რაიმე საფრთხე დაემუქროს – ფინიშზე ხომ „თეთრ-ლურჯებს“ იოლი გასეირნება ელით რკინიგზელებთან და გორელებთან.

* * *

იტალია. XXXV ტური. „ინტერი“ – „კალიარი“ 2:1, „რომა“ – „ტორინო“ 4:1, „იუვენტუსი“ – „ლაციო“ 5:2.

ლიდერთა ჯგუფი: „ინტერი“ – 81, „რომა“ – 75, „იუვენტუსი“ – 70 ქულა.

ბომბარდირები: ტრეზეგე („იუვენტუსი“ ძ, ბორიელო („ჯენოა“ ძ – 19-19 გოლი.

შემდეგი ტური: „მილანი“ – „ინტერი“, „სამპდორია“ – „რომა“, „სიენა“ – „იუვენტუსი“.

ესპანეთი. XXXIV ტური. „რეალი“ – „ბილბაო“ 3:0, „დეპორტივო“ – „ბარსელონა“ 2:0, „ბეტისი“ – „ვილიარეალი“ 0:1.

ლიდერთა ჯგუფი: „რეალი“ – 75, „ვილიარეალი“ – 65, „ბარსელონა“ – 61 ქულა.

ბომბარდირი: ფაბიანო („სევილია“ ძ – 23 გოლი.

შემდეგი ტური: „ოსასუნა“ – „რეალი“, „ვილიარეალი“ – „ხეტაფე“, „ბარსელონა“ – „ვალენსია“.

ინგლისი. XXXVI ტური. „ჩელსი“ – „მანჩესტერი“ 2:1, „დერბი“ – „არსენალი“ 2:6.

ლიდერთა ჯგუფი: „მანჩესტერი“, „ჩელსი“ – 81-81, „არსენალი“ – 77 ქულა.

ბომბარდირი: რონალდუ („მანჩესტერი“ ძ – 28 გოლი.

შემდეგი ტური: „მანჩესტერი“ –„ ვესტ ჰემი“, „ნიუკასლი“ – „ჩელსი“, „არსენალი“ – „ევერტონი“.

გერმანია. XXX ტური. „ბაიერნი“ – „შტუტგარტი“ 4:1, „კარლსრუე“ – „ვერდერი“ 3:3, „ჰამბურგი“ – „შალკე“ 0:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ბაიერნი“ – 66, „ვერდერი“, „შალკე“ – 54-54 ქულა.

ბომბარდირი: ტონი („ბაიერნი“ ძ – 21 გოლი.

შემდეგი ტური: „ვოლფსბურგი“ – „ბაიერნი“, „ვერდერი“ – „კოტბუსი“, „შალკე“ – „ჰანოვერი“.

საფრანგეთი. XXXV ტური. „ლიონი“ – „კაენი“ 2:2, „ბორდო“ – „ნიცა“ 0:0, „მონაკო“ – „მარსელი“ 2:3.

ლიდერთა ჯგუფი: „ლიონი“ –72, „ბორდო“ – 68, „მარსელი“ – 58 ქულა.

ბომბარდირი: ბენზემა („ლიონი“ ძ – 19 გოლი.

შემდეგი ტური: „ნიცა“ – „ლიონი“, „მარსელი“ „ბორდო“.

ჰოლანდია. თასის ფინალი. „ფეიენოორდი“ – „როდა“ 2:0.

რუსეთი. VII ტური. „დინამო“ – „რუბინი“ 0:2 (ანგარიში **დავით კვირკველიამ** გახსნა ძ.

სტუმრებმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვეს, რითაც ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარეს.

● „ძალიან გამიხარდა, რომ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა. ცუდი სიტუაციაა, როცა თასს წაგებულ გუნდს გადასცემ. მასპინძლებმა ეს უხერხულობა ამაცილეს. დღეს თბილისში ეროვნულ სტადიონზე ზეიმი მართლაც გაიმართა“

◎ სამგო

გუშინ დაიწყო

გივი კარტოზიას სახელოგის სპორტის სასახლეში გუშინ დაიწყო სამგისტთა XXVI ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 23 ქვეყნის 300-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობს. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ უშანგი კუზანაშვილი (52 კგ), ავთანდილ ცინცაძე (57 კ), დავით სვიმონიშვილი (62 კ), ბექა იმერლიშვილი (68 კ), კახა მამულაშვილი (82 კ), მინდია ბოდაველი (90 კ), მირიან პავლიაშვილი (100 კ და ზვიად ჩინჩალაძე (მძიმე წონაკ. ქალთა ტურნირში იჭიდავებენ თინათინ ქულოსაშვილი (60 კგ), ნინო

ოქელაშვილი (80 კ და ირინე ლეონიძე (მძიმე წონაკ.

გუშინ გვიან გამარჯვებულები გამოვლინდნენ 52, 62, 74, 90 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში.

◎ ფარიკაობა

ხელი მოეცარა

ქართველ მოფარიკავე მიხეილ მოცემლიძე გასულ უქმეებზე თურქეთის ქალაქ სტამბოლში პეკინის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობდა. პირველ წრეში მან გულგარელ დობრინ გიონოვს სძლია 15:12, მომდევნო ორთაბრძოლაში კი პოლონელ მარტინ კონიუშს დანებდა 13:15.

მოცემლიძეს 2008 წლის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ ქართველი სპორტსმენი უკრაინელ დმიტრი ბოიკოსთან დამარცხდა და უსაგზაროდ დარჩა.

◎ რაგბი

„დუბლი“ შვიდი წლის შემდეგ

საქართველოს და ესპანეთის მორაგბეთა ნაკრები გუნდების მატჩები ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობით. ამ მხრივ ევროპის ერთა თასის გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრაც არ ყოფილა გამონაკლისი. ბორჯღალოსნები მოედანზე რევანშის წყურვილით გამოვიდნენ, რადგან პირველი წრის ორთაბრძოლა მადრიდში წაგებული ჰქონდათ. ამიტომ თბილისური პაექრობის პირველ ოც წუთში რაც მოხდა, ამას არავინ ელოდა – სტუმრებმა უკვე მეექვსე წუთზე გახსნეს ანგარიში კანოს ლელოთი. გრატონმაც გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა. ოცდამეხუთე წუთისთვის პირენეელები 17:0-ს იგებდნენ, რასაც თავადაც ვერ იფიქრებდნენ, თორემ მასპინძლებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ეტყობა, ცივმა შხაპმა დადებითად იმოქმედა ტიმ ლეინის შეგირდებზე. ისინი ნელ-ნელა გააქტიურდნენ და ტაიმის მიწურულისთვის ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს 12.17.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების უპირატესობა აშკარა გახდა. ჩვენებმა ყოველმხრივ დაჯაბნეს მეტოქე და საბოლოოდ 22:20 გაიმარჯვეს. ამ წარმატებას არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა, გარდა სპორტული ჟინისა, რადგან მასპინძლებმა ვადამდე გაინალდეს პირველობა. FIRA-AER-ის

	თ	მ	წ	ბ	ქ
საქართველო	10	9	1	292:114	28
რუსეთი	10	8	2	314:147	26
რუმინეთი	10	6	4	277:144	22
ესპანეთი	9	3	6	212:223	15
პორტუგალია	9	3	6	157:175	15
ჩეხეთი	10	0	10	59:506	10

პრეზიდენტმა ჟან კლოდ გაკემ, რომელმაც ევროპის ერთა თასი გადასცა ბორჯღალოსნებს, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ძალიან გამიხარდა, რომ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა. ცუდი სიტუაციაა, როცა თასს წაგებულ გუნდს გადასცემ. მასპინძლებმა ეს უხერხულობა ამაცილეს. დღეს თბილისში ეროვნულ სტადიონზე ზეიმი მართლაც გაიმართა“.

საპატიო სტუმარმა ისიც გვაუწყა, რომ იგი 6 ერის საორგანიზაციო კომიტეტში აირჩიეს და უკვე დასვა საკითხი ამ შეჯიბრების მაჩანჩალა გუნდსა და ევროპის ერთა თასის გამარჯვებულს შორის პლეი-ოფის გამართვის თაობაზე. შეთავაზებას უარყოფითად შეხვდნენ, მაგრამ, იმედია, დროთა განმავლობაში ამ საკითხს მოვაგვარებთო.

აქვე გაუწყებთ, რომ ერთა თასის გათამაშების ბოლო მატჩში 10 მაისს ესპანეთი და პორტუგალია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

* * *

ჩილეში დამთავრდა 20 წლის მორაგბეთა მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ქვეჯგუფში ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა ორი შეხვედრა კი მოიგეს, მაგრამ მესამე ორთაბრძოლა ურუგვაელებთან დათმეს და უმაღლესი ეშელონის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგეს. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში რუმინეთს სძლიეს 34:10. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ურუგვაელები, რომლებმაც ფინალში მასპინძლები დაჩაგრეს – 20:8. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 5. ნამიბია, 6. კორეა, 7. კუკის კუნძულები, 8. იამაიკა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◎ ორბიტაზე

ჭაბუკობის კერპთან

საქველმოქმედო მატჩზე, ჟენევაში რომ გაიმართა, ადრე შვეიცარიის ნაკრებისა და „მარსელის“, ახლა კი ესპანური „ხეტაფეს“ მოთამაშის ფაბიო ჩელესტინის ინიციატივით, ერთმანეთს შეხვდნენ 1998

წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და ევრო-2000-ის გამარჯვებული რობერო პირესი (მარცხნივ) და ზინედინ ზიდანი. პირველი თამაშობდა გუნდში „ყველა ვარსკვლავი – OM“, მეორე კი გუნდში „4-4-2“, სწორედ ასე ჰქვია ჩელესტინის მიერ შექმნილ ფონდს, რომელიც ცდილობს, დაეხმაროს ღარიბი ოჯახის შვილებს ფეხბურთის დაუფლებაში. შემოსული ფულით გადაიხდიან დაქირავებული მინდვრების, ფორმის, მწვრთნელთა მუშაობის გადასახადს.

ალსანიშნავია, რომ ზიდანი პირველად სტადიონზე ენცო ფრანჩესკულისთან ერთად გამოვიდა, რომელიც მისი ჭაბუკობის კერპი იყო და სწორედ მისი სახელი დაარქვა თავის შვილს. ახლა კი ორივე ერთ გუნდში თამაშობდა.

19800 გულშემატკივარი აღტაცებით შეხვდა მრავალ ფეხბურთის ვარსკვლავს. მატჩში მონაწილეობდნენ „მარსელის“ ფეხბურთელებიც.

ზედიზედ მეოთხედ



ჩოგბურთში ახალი ერის დაწყებიდან (1968 წლიდან) ესპანელი რაფაელ ნადალი პირველი მოთამაშეა, ვინც მონტე-კარლოს ტურნირი (მისი საპრიზო ფონდი 2 მილიონ 270 ათასი ევრო იყოქ ოთხჯერ ზედიზედ მოიგო. ადრე ასეთი რამ შეძლო მხოლოდ ახალზელანდიელმა ელტონი უილდინგმა 1914 წელს.

ამჟამად მონტე-კარლოში გამარჯვებულის მეტოქე იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი. ბრძოლა ძალზე დაძაბული გამოდგა, რაზეც მისი შედეგიც მეტყველებს – 7:5, 7:5.

ამასთან, ერთად, ესპანელი ასევე პირველია, 17 წლის მანძილზე ერთეულთა გარდა, წყვილთა პაექრობაც რომ მოიგო. მისი პარტნიორი ამჯერად თანამემამულე როგრედო იყო.

კანალისის ახალი თაყვანისმცემელი

სახელგანთქმულმა იტალიელმა მოდელმა და უგრალოდ ლამაზმა ქალმა ელისაბედ კანალისმა ახალი რომანი წამოიწყო. ამჯერად მისი რჩეულია იტალიური „პარმას“ ბრაზილიელი ფეხბურთელი რეჯინალდო.

ეს წყვილი ერთად მილანში „პარმას“ მეორე მოთამაშის გერნანდო კორდის დაბადების დღისადმი მიძღვნილ სალამოზე ნახეს. უნდა ითქვას, რომ თავად კორდის „გულისვარდი“(ისიც ცნობილი მოდელია ელისაბედის საუკეთესო მეგობარია.

რა დასამალია და კანალისი ქალზე მიიწევს სპორტსმენებისკენ, განსაკუთრებით, ფეხბურთელებისკენ. კარგად ცნობილია, რომ მის „კოლექციაში“ იყვნენ იტალიური ნაკრების წევრი კრისტიან ვიერი. „ჩელსის“ ფორვარდი დიდიე დროგბა და ბრწყინვალე მოტომარბოლი ვალენტინო როსი.

რასაკვირველია, ლამაზმანის ახალმა ფავორიტმა რეჯინალდომ იცის ელისაბედის ცხოვრების წვრილმანიც, მასზე ხომ იტალიური „ყვითელი“ პრესა სისტემატურად წერს. მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერზე „თვალებს ხუჭავს“.

● ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში რეზო ადამიას ნამუშევრებთან ერთად მისი ქალიშვილის – მაია ადამიას 6 სრულიად განსხვავებული სტილის ნახატი გამოიფინა. ეს მამა-შვილის პირველი ერთობლივი გამოფენა ყოფილა



◎ კონკურსი

სიღნაღი – სიყვარულისა და ღვინის ქალაქი

დღეს და ხვალ ქალაქი სიღნაღი ქართული ღვინის ეროვნული კონკურსის მასპინძელია. „საქართველო ღვინის სამშობლო“ – ასე ჰქვია ამ კონკურსს, რომელსაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და ღვინის ისტორიის ფონდთან ერთად წლეულს მეორედ მართავს. მასში მონაწილეობას იღებს ღვინის მწარმოებელი 28 ქართული კომპანია, სულ კი შესაფასებლად წარმოდგენილი იქნება 200-მდე ღვინის ნიმუში.

– ეროვნული კონკურსის მიზანია ღვინის ხარისხის გაუმჯობესება და პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტის ზრდას, – ამბობს სავაჭრო- სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი გია კაკაბაძე.

საუკეთესო ქართულ ღვინოებს გამოავლენს 6-კაციანი საერთაშორისო ჟიური – დიდი ბრიტანეთიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან მოწვეული ღვინის ცნობილი ექსპერტები. საქართველოს წარმოადგენს შპს ღვინის ლაბორატორიის დირექტორი ნუგზარ ქსოვრელი. ჟიურის თავმჯდომარეობს ბრიტანელი ტომ კანავანი, რომელიც 2006 წელს გამართული პირველი ეროვნული კონკურსის თავმჯდომარეც იყო.

ღვინოების შეფასება და დაჯილდოება მოხდება 11 ნომინაციაში. ესენია: თეთრი მშრალი დავარგებული, თეთრი მშრალი დაუვარგებელი, თეთრი ღვინო დურდოზე ტრადიციული, თეთრი ნახევრადმშრალი, ნახევრად ტკბილი, წითელი ღვინო დავარგებული, დაუვარგებელი, წითელი ნახევრად მშრალი, წითელი ნახევრად ტკბილი, ჭაჭა და ცქრიალა.

როგორც ჟიურის თავმჯდომარემ ტომ კანავანმა ალნიშნა, „ღვინოების შეფასება მოხდება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორც მსოფლიოს სხვა კონკურსებზეა მიღებული. შეფასების კრიტერიუმი იქნება ის, რომ ყველა ღვინო უნდა იყოს სუფთა, ხარისხიანი და დაბალანსებული. უნდა იგრძნოზოდეს რომელი ყურძნისაგან არის იგი დამზადებული. დეგუსტაცია მოხდება ბრმა მეთოდით, თითოეული ბოთლი ისე იქნება შეფუთული, რომ არ გვეცოდინება მწარმოებელი. ჟიურის თითოეული წევრი გამოთქვამს თავის მოსაზრებას და ამის შემდეგ შეჯამდება აზრი“.

ჟიურის ერთ-ერთი წევრია ცნობილი ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან, საერთაშორისო წოდების „Master-ის (ოსტატის) მფლობელია, ქალბატონი სარა ჯეინ ევანსი. იგი პირველად არის საქართველოში, თუმცა ქართული ღვინოების შესახებ ბევრი სმენია, ამბობს, რომ ლონდონში რამდენიმე ქართული ღვინის სახეობა არსებობს და ისინი ცნობილი ბრენდებია. ქართული საფერავის საუკეთესო თვისებებზეც სმენია და ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მის გაშენებას სხვა ქვეყნებიც ცდილობენ. მაგალითად, იგი ავსტრალიაშიც გაუშენებიათ.

საუკეთესო ღვინის ნიმუშები დაჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით, საგანგებო პრიზებითა და დიპლომებით.

გამარჯვებული კომპანიების დაჯილდოება გაიმართება 2 მაისს სიღნაღის მუზეუმში.

რუსუდან მუხიგულაშვილი

სურათებზე: ტომ კანავანი (ჟიურის თავმჯდომარე); ჟიურის წევრები – სარა ჯეინ ევანსი და ნატაშა ჰიუზი (დიდი ბრიტანეთი).

◎ გამოფენა

მზემ აღმოაჩენინა მეორე სამშობლო

ცნობილი მხატვრის რეზო (ემელიანეძ ადამიას გამოფენას „პარიზული მისტიკა და კოლხური იდუმალება“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ უმასპინძლა. ამ უფაქიზეს ფერწერულ ნამუშევრებს მზე აიდუმალებს და ასხივოსნებს – პარიზული მზე უფრო რბილი და თავშეკავებულია, ქართული მზე კი ბრიალა და სევდიანი, დიდი სულიერი ენერგიის გამონაშუქი.

ვინც გატონი რეზოს შემოქმედებას იცნობს, მისთვის უცხო არ არის ის ჟანრები, რასაც მხატვარი მიმართავს: პეიჟაზი, ხატწერა, ფიგურული თემატიკა, პორტრეტი და ნატურმორტი.

1997 წელს დიჟონში გამართულ საფრანგეთის საერთაშორისო გამოფენაში რეზო (ემელიანეძ ადამიას პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა; 1998 წელს საქართველოს საელჩოს მიწვევით გამართულ პერსონალურ გამოფენას „თოვლი საქართველოში“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ერთი თვის შემდეგ, ერთ-ერთი პრესტიჟული გალერეის მეპატრონემ ეს გალერეა გადაიტანა რივოლის ქუჩაზე, სახელგანთქმული ლუვრის გვერდით. ამას მოჰყვა შემოქმედებითი მიწვევა ჩრდილოეთ საფრანგეთში, ნორმანდიაში. ნორმანდიაში მხატვრის მესამე პერსონალურ გამოფენას – ნორმანდიის პეიზაჟებს, ასევე, აღიარება ხვდა წილად.

2001 წელს რეზო (ემელიანეძ ადამია, შემოქმედებითი სამუშაოს გაგრძელების მიზნით, მიიწვიეს პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში. მიწვევა განმეორდა 2002-03 წლებში ხელოვნების ცენტრის პრეზიდენტის თანხმობით.

2004-2005 და 2006 წლებში, პარიზში ეძვსთვიანი მუშაობის შედეგად, მისი რამდენიმე პერსონალური გამოფენა გაიმართა. პარიზულ მზესა და მისტიკას ნიკო ფიროსმანაშვილის მირზაანი და აქტრისა მარგარიტას პარიზი შეემატა.

მხატვრის ნამუშევრები ინახება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, რუსეთში, ლატვიაში, ჩეხეთში, ჰოლანდიაში.

მხატვრის შექმნილი ხატები ასვენია, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების ეკლესიებსა და ოჯახებში, ხოლო ტილოები დაცულია საქართველოს მრავალ მუზეუმსა და გალერეაში, ასევე, ინახება კერძო კოლექციებში.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში რეზო (ემელიანეძ ადამიანს ფერწერული ნამუშევრების შესახებ შთაბეჭდილება გაგვიზიარა გატონმა რევაზ მიშველაძემ:

„მიხარია, რომ ქართველი მხატვარი ამერიკელებმა ასე გამორჩეულად დააფასეს. გამოფენაზე ორი თემატური ხაზია: ერთს პირობითად შეიძლება დაერქვას რეზო ადამიას თვალით დანახული პარიზი, მეორეს კი – ჩემი სამეგრელო. აქ ორი სრულიად განსხვავებული სამყაროა – ცივილიზაციის ცენტრი პარიზი და სამეგრელო – განუმეორებელი მომხიბვლელობით, სევდით, პირველყოფილი უბრალოებით, ტრადიციული ხილვადობით. არ იცვლება არც პეიზაჟი, არც საყოფაცხოვრებო ნატურა. სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი ეიფელის კოშკი და ნოტრდამი, მეგრული ოდა და ზამთარი, მაგრამ ვფიქრობ, თავად მხატვარი განუმეორებელი და თვითმყოფადია იმ გარემოში, სადაც თვითონ დაიბადა“.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში რეზო ადამიას ნამუშევრებთან ერთად მისი ქალიშვილის – მაია ადამიას 6 სრულიად განსხვავებული სტილის ნახატი გამოიფინა. ეს მამა-შვილის პირველი ერთობლივი გამოფენა ყოფილა – ჩემი პირველი მუზა მამა იყო, რომ არ ყოფილიყო რეზო მამაჩემი, ალბათ, როგორც მხატვარი, არ დავიბადებოდი, – გვითხრა მაიამ.

გამოფენის შემდეგ, თან მოგვყვებოდა პარიზისა და საქართველოს თოვლიანი პეიზაჟების ხიბლი, რომ რეზო (ემელიანეძ ადამიამ სამეგრელოს პარალელურად, მეორე სამშობლო – პარიზი აღმოაჩინა და მის უშშვენიერეს იდუმალებას მიგვაახლა.

თამარ შაიშმელაშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 მაისს დღის 14 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №3-ში (ტყიბულის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „სოჩხეთის თაიგულის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს გამეორებით აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ფაბრიკის შენობა, რკინა-ბეტონის კარკასული ანაგები, დაზიანებულია, შეფასებულია 17000 ლარად,
2. ქვესადგურის შენობა, აგებულია აგურით, დახურულია წიბოვანი ფილებით, შეფასებულია 2100 ლარად,
3. ჩაის საღნობი აგრეგატი, შესაკეთებელია, 2 ცალი, შეფასებულია 5000 ლარად,
4. ცისტერნა 25 ტ-იანი, შეფასებულია 600 ლარად,
5. სასწორი დიდი, ვარგისი, შეფასებულია 3000 ლარად,
6. ცისტერნა 28 ტ-იანი, შეფასებულია 650 ლარად,
7. რადიოსადგური პოლისი, უვარგისი, შეფასებულია 0 ლარად,
8. მაგიდა საწერი, 2 ცალი, დაშლილია, შეფასებულია 0 ლარად,
9. ხელსაწყო სინაზე არ არის ადგილზე, შეფასებულია 0 ლარად,
10. ჩაის დასახარისხებელი შენობა აგურის, 130კვმ. შეფასებულია 2000 ლარად,
11. ტრანსფორმატორი 100-კვტ-იანი. შეფასებულია 2500 ლარად,
12. ავტომანქანა რაფი-2203, გამოშვ. 1989წ. საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, შეფასებულია 200 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 33050 (ოცდაცამეტიათას ორმოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

საქართველომ, რომელსაც უსაფრთხო სასმელი წყლის საკმაოდ კარგი მარაგი აქვს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოში არსებული ტენდენციები, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს წყლის რესურსები და ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მავანთა კერძო ინტერესებს არ უნდა შესწიროს

რესურსები

„წყლის ომების“ უსიამო მოლოდინი

ქართველებმა, სამწუხაროდ, ხშირად ილუზიებით ცხოვრება ვიცით. დარწმუნებული ვარ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდებოდა, ბევრს სმენია, ბევრსაც, ცხადია, უთქვამს – ერთი რუსეთის კლანჭებიდან დაგვაღწევინა თავი და, სხვა თუ არაფერი, ღვინო, ციტრუსი, მანგანუმი და „ბორჯომი“ გვაცხოვრებსო. ჰოდა, ახლა, წლების შემდეგ, ხომ ვხედავთ, რომ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა თავის მოტყუება?

თუმცა ამჯერად არც ღვინოზე ვაპირებ ლაპარაკს, არც მანგანუმზე, არც ციტრუსებზე. დღეს წყლის თემა მინდა შემოგთავაზოთ, პატივცემულო მკითხველო, რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის გახლავთ, რომ დედაქალაქის ცენტრშიც კი, სადაც ონკანის წყალი ყოველთვის გემოთი და, რაც მთავარია, სისუფთავით გამოირჩეოდა, იგი ხშირად წყდება და, შედეგად, მისი ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა, აიმღვრა და მყარი მინარევები მოყვება. არ ვიცი, ეს რის ბრალია – ეკოლოგიური ვითარების თუ იმის, რომ ხეირიანად ვერაფრით დავადგინეთ, ვისია სადღეისოდ „თბილისის წყალი“, ვინ არის მისი ბატონ-პატრონი. თუმცა ერთი კი არის – ამ კომპანიას წყლის ხარისხის მაკონტროლებელი თანამედროვე ჩინებული ლაბორატორია აქვს, რომელიც რეგულარულად აკონტროლებს დედაქალაქში სასმელი წყლის ხარისხს, მაგრამ ლაბორატორია მის სისუფთავეს ნამდვილად ვერ უზრუნველჰყოფს.

ეს ერთი.

მეორე მიზეზი გახლავთ საქართველოდან სასმელი წყლის სავარაუდო ექსპორტის საკითხი, რომლის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა“ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში წერდა. სასმელი წყლის ექსპორტთან დაკავშირებული პროექტი საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრებმა დაამუშავეს, მას მრავალმა სახელოვანმა ჰიდროგეოლოგმა, დარგის სხვა მიმართულების ჩინებულმა სპეციალისტმა დაუჭირა მხარი, მაგრამ სამთავრობო დონეზე პროექტის „ტორპედირება“ მოხდა, რასაც მაშინდელ ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელს უკავშირებენ. პროექტის დეტალებზე ამჯერად საუბარს არ დავიწყებთ, შეგახსენებთ მხოლოდ, რომ მისი განხორციელება როგორც ქვეყნის ბიუჯეტისთვის იქნებოდა მომგებიანი, ასევე რეგიონების მოსახლეობისთვის იქნებოდა მეტად ხელსაყრელი, ვინაიდან რეალური სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად მხარეებში ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეუწყობდა ხელს. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს პროექტი დღესაც, რომ იტყვიან, „უჯრაში დევს“. სამწუხარო კია.

საკითხის მთელი სიმძაფრე ის არის, რომ წყალი ჩვენ დროში ისეთივე სტრატეგიული ნედლეულის როლს იძენს, როგორიც ნავთობია. მიუხედავად იმისა, რომ წყალი, ნავთობისგან განსხვავებით, განახლებადი ბუნებრივი რესურსია, მის უკმარისობას დედამიწაზე ასობით მილიონი ადამიანი მწვავედ განიცდის. ამ დარგის წამყვან სპეციალისტებს, ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ თუკი მსოფლიო თანამეგობრობამ სათანადო ზომების გატარება ახლავე არ დაიწყო, ახლო მომავალში კაცობრიობა შესაძლოა „წყლის ომების“ საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს. კერძოდ, მათი აზრით, მოსახლეობის წყალმომარაგების სფეროს და სანიტარიის პრობლემების გადასაჭრელად სასწრაფო ზომები თუ არ იქნება მიღებული, ახლო მომავალში ეს შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზი გახდეს.

ცოტა ხნის წინათ აღინიშნა წყლის მსოფლიო დღე, რასთან დაკავშირებით 27 საქველმოქმედო ორგანიზაციამ ერთგვარი პეტიცია გამოაქვეყნა, სადაც მოითხოვა სათანადო ზომების გატარება 1,1 მილიარდი ადამიანის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად, რომელიც მის მწვავე დეფიციტს განიცდის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2025 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი იცხოვრებს ქვეყნებში, სადაც სასმელი წყლის დეფიციტი იქნება! წყლის რესურსებზე ჭარბი დატვირთვა, მათი აზრით, ერთ-ერთი ის ფაქტორია, რომელსაც სახელმწიფოებში არასტაბილურობის ანდა, სულაც, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების გამოწვევა შეუძლია.

ამ დროს კი ჩვენ მთელ წყალსაცავებს, ტბებსა თუ მდინარეებს, კაცმა არ იცის, ვისზე და რის გამო ვყიდით!

საქველმოქმედო ორგანიზაციათა კოალიციის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ **„წყლისა და სანიტარულ-ჰიგიენური კრიზისის დაძლევა აუცილებელია „მილენიუმის“ განვითარების პროგრამის განსახორციელებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში საფუძველი გამოეცლება ჯანდაცვის, განათლებისა და ეკოლოგიური სტაბილურობის სფეროებში პროგრესს. ყოველწლიურად მსოფლიოში 1,8 მილიონი ბავშვი იღუპება წყალთან დაკავშირებული ავადმყოფობების გამო, თუმცა მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი ძალისხმევა რომ ყოფილიყო, ეს ბავშვები არ დაიღუპებოდნენ“.**

მიაჩნიათ, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ აქედანვე დაწყებული სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში „მილენიუმის“ პროგრამით დასახული ერთ-ერთი კონკრეტული ამოცანა, კერძოდ კი 2015 წლისთვის ორჯერ შეამცირონ იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლით სარგებლობის შესაძლებლობას, ვერ შესრულდება.

ასევე აღნიშნავენ, რომ ჰაერის ტემპერატურის ზრდა, რომელსაც ემატება სხვა სახეობის ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები, წყლის რესურსებზე ნეგატიურად აისახება. გარდა ამისა, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ დედამიწის მოსახლეობის გაწუხრელი ურბანიზაციის პირობებში მოთხოვნილება საკვებსა და წყალზე გამუდმებით გაიზრდება.

ამჟამად მსოფლიოს 30 ქვეყანას მოსახლეობისთვის საჭირო სასმელი წყლის ერთი მესამედი საზღვარგარეთიდან შეაქვს, კლიმატური ცვლილებების შედეგად კი მათი რიცხვი აუცილებლად გაიზრდება, რაც კიდევ უფრო რეალურს გახდის კონფლიქტების წარმოშობის ალბათობას.

თუკი დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა ორი გრადუსით მაინც მოიმატებს, სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის საფრთხის წინაშე 2-დან 3 მილიარდ ადამიანამდე აღმოჩნდება, ეს კი მსოფლიო კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ამიტომ არის, რომ საქართველომ, რომელსაც უსაფრთხო სასმელი წყლის საკმაოდ კარგი მარაგი აქვს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოში არსებული ტენდენციები, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს წყლის რესურსები და ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მავანთა კერძო ინტერესებს არ უნდა შესწიროს. ამის სავალალო მაგალითად თუნდაც კახეთის მხარე გამოდგება, რომელიც, ფაქტობრივად, სასმელი წყლის ლამის ზღვაზე დგას, რომელსაც წიაღიდან ამოღების მეტი არაფერი უნდა, ზოგიერთი სოფელი კი უწყლობით იხრჩობა...

ოთარ ტურაბელიძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ 2008 წლის 16 მაისს დღის 15 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №3-ში (ტყიბულის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაშიძ სსკს „ციხიას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. კლუბ-კანტორა ნაძვაში, 33,57 კვმ. შეფასებულია 1200 ლარად.
2. საყარაულო ჯიხური, შეფასებულია 50 ლარად.
3. წყლის წისქვილი ნაძვაში, აგურის, შეფასებულია 600 ლარად,
4. სახერხის შენობა, შეფასებულია 100 ლარად.
5. საკრებულოს სახლი, ხის, 84 კვმ. შეფასებულია 1500 ლარად.
6. ბელელი ბობოთში, 20 კვ.მ. შესაკეთებელია, შეფასებულია 250 ლარად,
7. სამჭედლო ბობოთში, 20 კვ.მ. შეფასებულია 300 ლარად,
8. ე.წ. „დრაბილკის შენობა“, ვარგისია როგორც მასალა, შეფასებულია100 ლარად.
9. ფერმა ციხიაში, კაპიტალური შენობა, აგებული აგურით და ყორე ქვით, 500 კვ.მ. შეფასებულია 5000 ლარად.
10. წისქვილი ციხიაში, კაპიტალური შენობა, 20 კვ.მ. შეფასებულია 500 ლარად.
11. ავტომანქანა გაზ-53-ა, უვარგისი, გამოშვ. 1968 წ. შეფასებულია 100 ლარად.
12. ავტომანქანა კავზ-685, უვარგისი, გამოშვ. 1989 წ. შეფასებულია 150 ლარად.
13. ავტომანქანა ზილ-130, აღსადგენია გამოშვ. 1984 წ. შეფასებულია 800 ლარად.
14. ავტომანქანა გაზ-53-ბ, უვარგისი, გამოშვ. 1982 წ. შეფასებულია 100 ლარად.
15. ავტომანქანა გაზ-52-03. უვარგისი, გამოშვ. 1974 წ. შეფასებულია 100 ლარად.
16. ავტომანქანა გაზ-53, აღსადგენია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. გამოშვ. 1982 წ. შეფასებულია 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 11050 (თერთმეტი ათას ორმოცდაათიძ ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთნ (საგადასახადო ინსპექციასთანძ შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციასძ მისამართზე: ქ.ქუთაისი, რუსთაველის პრ.1.

ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

მეუღლე მედეა ჯანაშვილი, შვილები ლელა, ვანო, და ლიკა ათანელიშვილი, რძალი ეკა ყუბანეიშვილი, სიძე დათო დავარაშვილი, შვილიშვილები ირაკლი, ანუკი, დანი, გიორგი, ლუკა, მძახლები ანა, ილო დავარაშვილები, ნანა გოგიჩაიშვილი, ცოლისძმა მალხაზი, ნანი, ირა, დათო ჯანაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იური ივანეს ძე წიწუაშვილი

პანაშვიდი 29, 30 IV, 17 სთ. გამოსვენება 1 V, 15 სთ. მისამართი: შატბერაშვილის ქ.№2, VIII კორპ. III სადარბაზო, IV სართული.

ნათელა თეთრაშვილი, გურამ, მაია თეთრაშვილები ოჯახებით იუწყებიან

იური წიწუაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ამაგდარი მწვრთნელი, სპორტის აკადემიის პროფესორი, ასოციაცია „სპორტი ყველასთვის“ პრეზიდენტი

გოგი ყირმელაშვილი

პანაშვიდი 30 IV, 17 სთ. გამოსვენება 1 V, 15 სთ. მისამართი: წყნეთის ქ. 2 კორპუსი, 2 სად. VII სართული.

შპს „ქ. თბილისის №2 სამშობიარო სახლი“ აცხადებს კონკურსს სამშობიარო სახლის ბალანსზე რიცხული, ამჟამად ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების (გათბობის სისტემის დანადგარიძ ჯართის სახით რეალიზაციაზე შემდეგი პირობებით:

● 1. 1 ტონის ღირებულება 300 (სამასიძ ლარი.

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №58. ტელეფონი 96-03-72.

● განცხადების მიღება იწარმოებს გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადით.

ადმინისტრაცია

შპს „აღორძინება“ (ს/კ 202055088ძ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №14, ან დაუკავშირდეთ ლიკვიდატორს ტელ: 899685368.

ბოლო გვერდი

● ჩვენი გაზეთი არაერთგზის გამოსულა ამ თემაზე მწვავე, პრინციპული კრიტიკით, მაგრამ რაი მერე – წერე და იკითხე, შეაყარე ეკრანს ცერცვი, ამოიღე ხმა – ის მაინც დარჩება მღაღადებლად უდაბნოსა შინა...

◎ მათქმევინეთ!

ენას მერამდენედ გიწუნებთ, ტელევიზიავ!

ქართულ ტელევიზიას, როგორც მე მგონია, ახლა არაერთი კრიზისული მომენტი უდგას და გევრი სატკივარი სჭირს, მაგრამ მთავარია ეკრანის ენის ახლანდელი უმძიმესი მდგომარეობა, ენისა, რომელსაც უმოწყალოდ ჯიჯგნის და რყვნის ამდენი ტელეჟურნალისტი, წამყვანი იქნება, დიქტორი თუ რეპორტიორი, გარედან იქნება თუ შიგნით სტუდიაში...

გასაოცარი ისაა, რომ არც ერთი არხის ხელმძღვანელობას, კოლექტივს ეს არ აწუხებს, ვითარების გამოსწორებაზე, საეკრანო ქართულის გამართვაზე, „გასუფთავებაზე“, დახვეწაზე არცვინ ზრუნავს, მშობლიური ენის ასეთ დღეში ყოფნა არცვის აფიქრებს.

ჩვენი გაზეთი არაერთგზის გამოსულა ამ თემაზე მწვავე, პრინციპული კრიტიკით, მაგრამ რაი მერე – წერე და იკითხე, შეაყარე ეკრანს ცერცვი, ამოიღე ხმა – ის მაინც დარჩება მღაღადებლად უდაბნოსა შინა...

გავკადნიერდები და შემდეგი წინადადებით შევდივარ ტელეკომპანიების მესვეურებთან: დალოცვილნო, ამდენ შოუს რომ აწყობთ, ამდენნაირ აუდიტორიას რომ უყრით თავს (ხშირად გაუგებარი რომაა, რა ნიშნითაც, ამდენ თემას რომ მოხსენით ტაბუ, ენათმეცნიერებიც მიიწვიეთ მაგ თქვენს რომელიმე სტუდიაში, სამეტყველო ენის სპეციალისტები, მშობლიური ენის სხვა ძიებანი, ენაზე სხვა მზრუნველნი, გპირდებით, რომ ბევრ რამეს მოგასმენინებთ თქვენთვის სასარგებლოს, საგულისყუროს, მისაღებს. გპირდებით, რომ ჩაგახედებთ თქვენი ქართული ენის „სარკეში“. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვითმინოთ ჩვენი საბრალო საყვარელი ენის ტელედეგრადაცია.

...ამრიგად, არცთუ უცნობი შალვა ნათელაშვილისა არ იყოს, თეთრი ხელთათმანი გესროლეთ და დიდი და საჭირბოროტო პრობლემის ირგვლივ პრინციპული საუბრისთვის გიწვევთ. რასაკვირველია, იმ პირობით, რომ ქვეყნის პირველი პირისგან განსხვავებით ქართულ პრესას კითხულობთ და ამ წინადადების შესახებ შეიტყობთ...

თამაზ ეგანოიძე

◎ ინფორმაცია

მსჯავრდებულები არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას 2800-მდე მსჯავრდებული მიიღებს. ამის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განაცხადა. მისი თქმით, შესაძლოა აღნიშნულ რაოდენობას 50-მდე მსჯავრდებული დაემატოს, ან გამოაკლდეს, ვინაიდან ასეთი მონაცემები ყოველთვის პლუს-მინუს პრინციპით რეგულირდება.

კანონმდებლობით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ პატიმრებს, რომელთა მიმართ სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია, იმ პირებს, რომლებსაც სასჯელის ზომა უკვე განსაზღვრული აქვთ არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებათ.

ჯი-ეიბ-ენი

◎ ხუმარსიტყვა ანასეგურად

ფიქრები პოსტ ფაქტუმ

არჩევნების წინ დღე ერთი იდგა თალხი.
სიის მჭვრეტი, ვერ მოვიდა ნინო ფერზე.
მიშას ჰკითხა: – რა უყავით ჩემი ხალხი?
მიშამ უთხრა: – პოლიტიკა არის ესე...

მიდიოდა, თამაშგარე მიდიოდა,
გვიტოვებდა თვალსაჩინო ნაკვალევს.
მიშას გუნდი რაღაცეებს მიჰკიოდა,
აპრილი კი გზად უფენდა აკვარელს...

თამაზ ილმელი

◎ სასამართლო

იგორ გიორგაძის მხარდამჭერებს საბოლოო განაჩენი გამოუტანეს

29 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ იგორ გიორგაძის 12 მხარდამჭერის მიმართ საბოლოო განაჩენი გამოაცხადა.

მოსამართლე მანანა ოთარაშვილმა ქალაქში დატოვა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი სასჯელის ზომა, რომლის მიხედვითაც, მეტრეველს – 4 წლით, თოფურიას – 9 წლით, ქანთარიას – 7 წლითა და 6 თვით, ჟორჟოლიანს – 7 წლით, სამნიძეს – 7 წლით, გალდავას – 3 წლითა და 6 თვით, პაპუკაშვილს, კვინიკაძეს, დავითაიას, გულიას, ტალახაძესა და ახობაძეს კი 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

ჯი-ეიბ-ენი

◎ სტიქია

ლიახვზე ხიდმა თქვენი ჭირი ნაიღო!

არადა, ხომ გვაფრთხილებდა, ავდიდდებიო!..

ჩუმად, ქურდულად არ შემოპარულა. ადრე გაზაფხულიდანვე იმუქრებოდა: მოემზადეთ, უნდა ავდიდდე, აქაურობა მივანგრ-მოვანგრიო, აბა, თქვენ იცით, ვაუკაცურად დამხვდითო (ამის შესახებ ჩვენი გაზეთიც წერდა რამდენიმეჯერ, სულ ბოლოს, ამ რამდენიმე დღის წინათაც, ვაფრთხილებდით, ვისაც ჯერ არს).

გორელებიც, როგორც შეეძლოთ, ემზადებოდნენ. მუშაობდნენ კომბინატის დასახლებასთან, ანუ ქალაქის მეორე ნაწილთან დამაკავშირებელი ხიდის და ჯებირების გამაგრებაზე, ბეტონის ფილებს, ქვა-ღორღს ეზიდებოდნენ და ლიახვში ყრიდნენ, თუმცა ყველა ხედავდა, რომ გავეშებულ მდინარეს ასე ვერ შეაჩერებდნენ. მოულოდნელად ლიახვმა გადაფიქრა, ტაქტიკა შეცვალა და თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალზე გადებულ ხიდს დაეძგერა, ცალი ბურჯი მიუნგრ-მოუნგრია, ხიდი ჩამოწვა და ჩამოინგრა.

საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა.

როგორც ასეთ დროსაა მიღებული, ადგილზე მოვიდნენ ქალაქის მამები, საგზაო დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირნი, იქ თავშეყრილ გორელებს – „ოი, ოიო“, თანაგრძნობა გამოუცხადეს და ახალი ხიდის მწყობრში ჩადგომა სამიოდ თვეში აღუთქვეს.

მშენებლობა კი მაისის შუა რიცხვებში დაიწყება, როდესაც, მათი ვარაუდით, კალაპოტში წყლის დონე დაიკლებს. საეჭვოა, კავკასიონის მთებში ყულის ზეგანზე, სწორედ მაშინ იწყება თოვლის დნობა.

მანამდე კი მთელი ეს გაუთავებელი საავტომობილო ქარავანი, თბილისი-სენაკის ცენტრალურ მაგისტრალზე რომ მოძრაობს, გორმა თავის ქუჩებში უნდა გაატაროს, სხვათა შორის, ლიახვის იმ ხიდის გავლით, შიშისაგან რომ უკვე ცახცახებს, ან მე რა მეშველება, ან მაგათო.

გურამ ვაშაკიძე

იყიდება!

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ.

ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.

ფასი შეთანხმებით.

რეკლამა *კოსტავას 12*

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

◎ ანეკდოტები

– რა არის საერთო ფანტასტიკოსს, ისტორიკოსსა და პოლიტიკოსს შორის?

– წარმოსახვის ძალა! ფანტასტიკოსი მომავალს იგონებს, ისტორიკოსი – წარსულს, პოლიტიკოსი – დღევანდელობას...

* * *

მამაკაცი ცხოვრებაში ორჯერ ნერვიულობს.

პირველად – მაშინ, როდესაც მეორედ ვერ შეძლებს.

მეორედ – მაშინ, როდესაც პირველად ვერ შეძლებს.

* * *

– უკვე მეორე წელია, ცოლს არ ველაპარაკები.

– რატომ?

– ვერაფრით ვერ შევაწყვეტინე ლაპარაკი.

* * *

მიხო და ნიკა ჩხუბობენ.

– გაჩუმდი-მეთქი, შე ვირო, შენა!

– ვირისგან მესმის!

– ნათესავები ყოფილხართ და რა გაჩხუბებთ, თქვე ოხრებო, – ჩაილაპარაკა გამვლელმა.

◎ კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

№ 79. ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2008 წელი.